ლამპარი

ცალკე ნომერი 3 კაპ.

თფილისი

ხუთშაბათი, 20 (3) აპრილი.

1906

წელიწადი პირველი.

№ 2

ყოველ-დღიური გაზეთი.

№ 2

მთავრობა პროექტებით აქრობს რევოლიუციას.—ეროვნული პარტიები შეერთდენ სოციალდემოკრატიის წინააღმდეგ.—ქუთაისის გუბერნიაში სოციალდემოკრატებს ირჩევენ.—ბატონი რევოლიუციონერებს სიკვდილით დაუსჯიათ(?).—გლეხები მთავრობას ღალატობენ.—სამარის გუბერნიაში გლეხები პროკლამაციებს სწერენ, ორატორობენ, წითელი დროშებით დემონსტრაციებს მართავენ.—„პრისტავებს“ დურნოვის კანონები „ფეხებზე კიდია“.

ამ წლის 19 აპრილიდან გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ლ ა მ პ ა რ ი“

„ლამპარი“ წლიურათ ღირს თფილისში და თფილის გარეთაც 6 მან., წლის ბოლომდის 4 მან., თვიურათ 50 კაპ., ხოლო ცალკე ნომერი **მეგაზეთეებთან თფილისში და სხვა ადგილებშიაც 3 კაპ.**

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. ხელის მოწერა მიიღება:

**თფილისში:** რედაქციის კანტორაში—კ. თავართქილაძის სტამბასთან, ელისაბედის ქ. № 17.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „ЛАМПАРИ“.

ნათესავები აუწყებენ ნაცნობებს და ამხანაგებს

## ი ა ს ო ნ ჩ ი ჩ უ ა ს

გარდაცვალებას ქუთაისში 14 აპრილს.

(2—2)

### ძირითადი კანონების პროექტის გამო

ხარბაზნებით რომ ვერ „დაანგრია“ მთავრობამ რევოლიუცია, ახლა ქაღალდებით და ჯღაბნით აპირებს მის დანგრევას. მას თავისი გულუბრყვილობით, თუ სიბეცით, წამს, რომ საკმარისია თავის კაბინეტებში არსებული ძირითადი კანონები ერთი კალმის მოსმით შეასწორ-შემოასწოროს, შეაკეთ-შემოაკეთოს და რევოლიუციაც დაცხრება და თვითონაც ისევ თავის ტახტზე დარჩება დასკუპებული. სწორეთ ეს მიზანი აქვს ამ ჟამათ მთავრობის მიერ შემუშავებულ პროექტს ძირითადი კანონებისას. ამ პროექტში მთავრობას ერთმანეთზე მიუწებებია ოდნავ შეშალაშინებული ძველი ძირითადი კანონები და ახალი ვითომ კონსტიტუციონური კანონები. თვითმპყრობელობა, რასაკვირველია, ხელ-უხლებელი რჩება და პროექტი აცხადებს, რომ თვითმპყრობელ მთავრობის ძირითადი კანონები ძალაში რჩებაო, ხოლო „კონსტიტუციურ“ ელემენტათ ძირითად კანონებს სახელმწიფო სათათბირო ემატება, რომელიც, თავისი უუფლებობის მეოხებით, თვითმპყრობელობას ელფერსაც ვერ უცვლის, ანუ უკეთ, მხოლოდ ელ-ფერს უცვლის, ცვლილება შეაქვს მხოლოდ თვითმპყრობელობის **დეკორაციაში,** რადგან სათათბიროს უფლება არ ექნება ხელი შეახოს ძირითად კანონებს. ამ პროექტით მთავრობა ცდილობს დააკანონოს, დაამკვიდროს და სამუდამო გახადოს ის გარდამავალი მდგომარეობა, რომელიც შექმნილია დღეს მთავრობასა და რევოლიუციის შორის არსებულ ბრძოლის მეოხებით. მთავრობა ვერ მიმხვდარა და არც შეუძლია მიხვდეს, რომ დღევანდელი მდგომარეობა დროებითია, რომ მასში ჯერ კონსტიტუციის მხოლოდ ნასახი თუა ჩასახული, ჯერ მხოლოდ დუღილი, და კონსტიტუციონური წყობილების დაბადების პროცესი წარმოებს, და სანამ ეს პროცესი, ეს მშობიერება მთლათ არ დამთავრდება, მანამ ყოვლად შეუძლებელია რაიმე ძირითად კანონების ცხოვრებაში გატარება. რევოლიუციის სიცილა აც არ ეყოფა მთავრობის ძირითადი კანონების პროექტი. რევოლიუციის დუღილი და აფეთქება ერთი დაკვრით ბოლოს მოუღებს და ერთიანათ დაანგრევს, ისე, როგორც ქაღალდის ხუხულას, ყოველ-გვარ „ძირითად კანონებს“, რომლებსაც არსებული მთავრობა შეიმუშავებს და ააგებს, მტკიცეთ ააგებს სულ სხვა გვარ შენობას, რომელიც ძირიანათ ეწინააღმდეგება მთავრობის-მიერ განზრახულ „კონსტიტუციას“ და თვით ამ მთავრობასაც ერთიანათ აღგვის პირისაგან ქვეყნისა!

---

### პარტიების შეერთება

(მოქალაქეთა საყურადღებოთ)

ფედერალისტების, რადიკალების და დემოკრატების პარტიები შეერთდენ! შეერთდენ არჩევნების დროს ერთათ სამოქმედოთ. ფედერალისტების და დემოკრატების პარტიების შეერთება არავის გააკვირებდა. ესენიც და ისინიც ქართველები, ქართული ეროვნული პარტიები არიან, „საქართველოს“ „გაბედნიერებაზე“ ოცნებობენ, და, როგორც ასეთები, ყოველ სხვა ეროვნულ პარტიებს ეწინააღმდეგებიან, ებრძვიან, რომ „საქართველოში“ მათ ნება არ მისცენ ძალა და გავლენა მოიპოვონ. ასეთია სხვა ეროვნულ პარტიების სულის-კვეთებაც. სომხური ეროვნული პარტიებიც ჩვენში იმას ცდილობენ, რომ „ქართულ“ პარტიებს ნება არ მისცენ საქართველოში გაბატონდენ. ასე ერთმანეთს „ცხვირ-პირს ამტვრევენ“ ჩვენებური ეროვნული პარტიები საქართველოში „ბატონობის“ ხელში ჩასაგდებათ. დღეს არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ რადიკალთა პარტიაც ჩვენში ეროვნული პარტიაა თვით თავისი შედგენილობით და თავისი მეთაურის—არღუთინსკი-დოლგორუკის მიმართულებით,—სახელდობ ეს პარტია იგივე სომხური პარტიაა. და აი მოხდა სასწაული: სომხურ პარტიას ქართული პარტიები უერთდებიან ერთათ სამოქმედოთ! მათ რაღაც მანქანებამ ერთმანეთის ეროვნული მტრობა დაავიწყებია და ასე „ძმურათ“ შეაერთა! რა იყო ეს მანქანება? რის ან ვის წინააღმდეგ ერთდებიან ეროვნული პარტიები? ეს ძნელი გამოსაცნობი არ არის. **სოციალდემოკრატიის შიში,** მარტო ჩვენში ხომ არა! ყველგან, ყველა ქვეყნებში მოსისხლე მტრებსაც კი ერთმანეთთან ამეგობრებს. ჩვენებურ ეროვნულ პარტიებსაც, თუმცა მათ ერთმანეთ შორის დიდი შუღლი და მტრობა აქვთ, სოციალდემოკრატიისადმი საერთო მტრობა აერთებს, რადგან მათში ეს საერთო მტრობა უფრო ძლიერია, ვიდრე მათი საურთიერთო მტრობა. ორივე ეროვნული პარტიები შურით იხრჩობიან სოციალდემოკრატიულ პარტიის ძლიერების გამო, რომელიც მათ ასე ჩრდილავს და გავლენის მოპოების სახსარს არ აძლევს; ორივე ეროვნული პარტიების სანუკვარ ოცნებას შეადგენს ხელიდან გამოაცალონ სოციალდემოკრატიას მისი ძალა-გავლენა და თვითონ აცოცდენ მის პიედისტალზე. და აი მათ შემთხვევა ეძლევათ განახორციელონ ეს ოცნება: არჩევნებში გამარჯვების მოპოებით მათ იმედი აქვთ მიაღწიონ ამას. ასეთი გამარჯვების მოპოება კი მათ ცალ-ცალკე მოქმედებით არ შეუძლიათ, სოციალდემოკრატები თითქმის ყველგან დაამარცხებენ მათ, და აი ეს ერთმანეთის ბუნებრივი მოწინააღმდეგენი ხელს აძლევენ ერთმანეთს რომ შეერთებული ძალით სოციალდემოკრატიას თავზარი დასცენ არჩევნებში. ამისათვის ისინი, რასაკვირველია, ყოველ ღონეს იხმარენ დაარწმუნონ ამრჩევლები: თქვენი ინტერესების ნამდვილი დამცველნი მხოლოდ ჩვენ ვართ და ვიქნებითო, სოციალდემოკრატია თქვენ გატყუებთო და სხ... მაგრამ ნუ თუ ამრჩევლები ოდნავაც არის დაუჯერებენ მათ ამ ლათაიებს? ნუ თუ ამრჩევლები დაიჯერებენ, რომ ეს ახლათ გამოჩეკილი პარტიები, რომელთა წევრები იმ დროს, როდესაც სოციალდემოკრატია თავგანწირვით იბრძოდა და დღევანდელ მომენტს თავისი სისხლით და ძვლებით ამზადებდა, თავიანთ სოროებში იმალებოდენ და მხოლოდ ახლა, მზა-მზარეულზე გამოძვრენ,—ჰო, ნუ თუ ამრჩევლები დაიჯერებენ, რომ ეს ახლათ გამოჩეკილი მუქთახორა პარტიები არიან მათი ინტერესების ნამდვილი და მედგარი დამცველები და სოციალდემოკრატია კი მათ მხოლოდ ატყუებთ. ასეთი დაჯერება ამრჩევლების მხრივ ხომ თავიანთი ინტერესების პირდაპირ ღალატი და გაყიდვა, თავის თავის დაღუპვა იქნება. მოქალაქენო, ფრთხილათ! თქვენი მეგობრის ნიღაბით გეპარებიან მელაძუები! არ ჩავარდეთ მათ ხაფანგში, მათ კლანჭებში, არ მიგიტყუოთ მათმა საკენკმა, მათმა ტკბილ-მეგობრულმა ჰიკჰიკმა! რა ამბავია, რომ მათ მხოლოდ ეხლა აეშალათ საღერღელი თქვენთან დამეგობრებისა. წინათ ხომ გაჭირვების დროს არც ერთხელ სათოფეზედაც არ გეკარებოდენ! მიეცით თქვენ თავს ასეთი კითხვა: მაშ შორს, შორს გაუდექით ცრუ მეგობრებს, ყური არ ათხოვოთ მათ ლათაიებს! მხარი მიეცით მუდამ თქვენს მოჭირნახულე, ჭირსა და ლხინში მუდამ თქვენთან მყოფ, თქვენთვის თავდადებულ სოციალდემოკრატებს, და ამით დაამტკიცეთ თქვენი მოქალაქობრივი გონიერება, თქვენი ინტერესების ღირსეული შეგნება, რომ შემდეგ სანანებლათ არ დაგრჩეთ! გახსოვდეთ, რომ ყველგან, ყველა ქვეყნებში, სოციალდემოკრატიის გარდა, ყველა პარტიები მუდამ ატყუებდენ და ატყუებენ ხოლმე თქვენისთანა უმწეო წვრილ ხალხს და ნუ თუ თქვენ არ უნდა ისარგებლებთ ამ გამოცდილებით და გაიმეორებთ თქვენი უცხო მოძმეების შეცდომას. იცოდეთ, რომ თქვენს არჩევნებში სოციალდემოკრატიის დამარცხება თქვენი დამარცხება იქნება, მისი გამარჯვება თქვენი გამარჯვებაც იქნება!

---

### პოლიტიკური მიმოხილვა

#### გლეხების „ღალატი“

როცა მთავრობა, რევოლიუციის ქარტეხილით წელში მოკაკული, იძულებული გახდა ასე თუ ისე ყურად ეღო ხალხის მოთხოვნილება და ცდილიყო რამენაირათ პასუხი გაეცა ამ მოთხოვნილებისათვის, ერთი სიტყვით როცა მან გადაწყვიტა ხალხის წარმომადგენლების მოწვევა, სათათბიროს დაარსება, ის, თვითმპყრობელობას რომ არა დაშავებოდა რა, შეეცადა „შესაფერი“ სათათბირო შეედგინა. ამისათვის მან გადაწყვიტა რაც შეიძლება მეტი კონსერვატიული ელემენტებისათვის მოეყარა თავი სათათბიროში და აი ამ მიზნით საარჩევნო კანონის შემწეობით მან სათათბიროში უზრუნველყო საპატიო ადგილი გლეხებისათვის (სხვათა შორის, რუსეთის თვითეულ გუბერნიისათვის სავალდებულოთ გახადა ერთი დეპუტატი უეჭველათ გლეხთაგანი იყოს), სწორეთ გლეხები მიაჩნდა მთავრობას თავისთვის ყველაზე უფრო უწყინარ, კონსერვატიულ ელემენტებათ, რომლებიც, მისი აზრით, დიდათ თავს გამოიდებდენ თვითმპყრობელობის დასაცველათ. მწარეთ მოტყუვდა მთავრობა ასეთ ანგარიშში, გაზეთები გადმოგვცემენ, რომ სათათბიროში არჩეული გლეხები, თითქმის ყველანი საუკეთესო, ქკვიანი და განვითარებული გლეხები არიან. მათ შორის ბევრნი შეგნებული მომხრენი არიან „ძირითადი ცვლილების“, ამათ სათათბიროსათვის გლეხთა ცალკე ჯგუფი დაუარსებიათ, ამ ჯგუფში ისინი მიიღებენ ყველა გლეხს, ვისაც კი პრინციპიალურ კონსერვატორათ არ მოაქვს თავი. ეს ჯგუფი ყოველგვარ პოლიტიკურ კითხვებში პროგრესიულ პარტიებს დაუჭერს მხარს. ასე ჩაუფლავდა მთავრობას გლეხების იმედიც-კი და მისმა „უძვეშეერდომილესმა“ ხალხმაც-კი მას ასე მუხანათათ უღალატა. მაგრამ განა გლეხებს დღეს ყველაზე უფრო არ გამწარებია სული სულთამხუთავ მთავრობისაგან? განა გლეხებს მართლაცდა ისე მთლათ გაყინული ქონდათ გრძნობა-გონება, რომ მთავრობის შტიკები და ხარბაზნებიც-კი მას ვერასოდეს თვალს ვერ აუხელდა, ვერ აგრძნობინებდა ტკივილს, ვერ შეაგნებინებდა, თუ რა დააყუჩებს ამ ტკივილს?

#### გლეხთა შეგნებული მოძრაობა

გლეხების „ღალატი“ იქამდე მივიდა, რომ ისინი არ კმარობენ სათათბი[...] შემწეობით მთავრობის წინააღ[...]ქმედებას; ისინი სათათბიროს გარეთაც [...] მრისხანეთ აბობოქრდენ. ჩვენ წინდაწინვე დარწმუნებული ვიყავით, რომ წელს აგრარული მოძრაობა თანდათან უკიდურეს წერტილამდე გამწვავდებოდა. მაგრამ ამ შემთხვევაში განსაკუთრებით საყურადღებო ის გარემოებაა, რომ გლეხები ამ მოძრაობას მეტათ შეგნებულათ აწარმოებენ. აი, სხვათა შორის, რას იწერებიან სამარის გუბერნიიდან: ამ ბოლო დროს გუბერნიაში გლეხების მღელვარება სულ უფრო იზრდება. ქ. სამარის მახლობელ სოფლებში გლეხები დემონსტრაციებს მართავენ წითელი დროშებით. დაბეჭდილი პროკლამაციები ხელიდან ხელში გადადის და გლეხები ხარბათ ეწაფებიან მათ. ამ ბოლო დროს აუარებელი ისეთი ლიტერატურა ვრცელდება, რომელიც თვით გლეხებს დაუწერიათ. ერთ-ერთ ასეთ პროკლამაციაში წერია: „ასე ცხოვრება, როგორც ჩვენ ვცხოვრობთ, აღარ შეიძლება. ნუ თუ კიდევ შეიძლება? თუ სასაფლაოსკენ არის ჩვენი გზა“? გლეხები მართავენ ხოლმე მიტინგებს და თვითონვე ორატორობენ. მათ წამოაყენეს თავიანთი პოეტებიც, რომლების ლექსებიც რევოლიუციონური სულითაა გაღენთილი. ეს ლექსები ძველებურათ ხალხის გაჭირვებას **კი არ მოთქვამენ მხოლოთ,** არამედ მათგან ბევრავს გულისწყრომა, მრისხანე პროტესტი ან და ირონია თავის შემავიწროვებლებზე. ურიადნიკს და წურბელას ერთნაირათ ამათრახებს ხალხის ლვარძლიანი და დაუნდობელი სატირა

#### დურნოვოს კანონი და „პრისტავის“ კაპრიზი

„აირია მონასტერი“, „ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს“—ეს სიტყვები ზედ გამოჭრილია დღევანდელ მდგომარეობაზე. დურნოვო ახალ-ახალ კანონებს აცხობს, უბადრუკ კანონებს, რომლებითაც ის ცდილობს უკვე ფაქტიურათ, რევოლიუციონურათ არსებულ თავისუფლებას, რაკი მთლათ ვერ მოუსპია, ლაგამი მაინც ასდოს, და აი ამ კანონებსაც-კი მისი ხელქვეითები უკანასკნელ „პრისტავ-გოროდოვომდე“ ყოველ ნაბიჯზე ეწინააღმდეგებიან, არღვევენ და თან გაიძახიან—დურნოვო და მისი კანონი ფეხებზე გვკიდიაო. პეტერბურგის მუშები კრებებს მართავენ დურნოვოს კანონის ძალით პროფესიონალურ კავშირის დასაარსებლათ და მათ წამდაუწუმ თავს ესხმის პოლიცია და „შეიარაღებული ძალით“ ერეკება, ხოლო როდესაც მუშები პოლიციას დურნოვოს მიერ ნება-დართულ „უსტავზე“ უთითებენ, პრისტავი უპასუხებს: „უსტავი“ ეს მე ვარო. ასეთსავე პასუხს აძლევს მუშებს მეორე პრისტავი, როცა გრადონაჩალნიკის მიერ კავშირის დასაარსებლათ ნებადართულ კრებას ერეკება. საშინელი ანარქიაა განა, მკითხველო?! რა მომასწავებელია, თუ იცი, ასე მონასტრის არევა, მთავრობის მექანიზმის ასეთი მოშლილობა, მისი ბორბლების ასე აქეთ-იქით, უგზოუკვლოთ ხეტიალი? ვინ იცის, იქნებ ეს რევოლიუციის გამარჯვების მოახლოვებას მოასწავებდეს!

---

### სოციალდემოკრატია და საზოგადოებრივი ინტერესები

სოციალდემოკრატია, როგორც მუშა ხალხის წარმომადგენელი, მუდამ ნათელს ჰფენს კლასობრივ ინტერესების წინააღმდეგობას; იგი მუდამ კლასთა ბრძოლის ნიადაგზე სდგას. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, ვითომ სოციალდემოკრატია მხარს უქცევდეს ისეთ საზოგადოებრივ საკითხებს, რომლებიც პირდაპირ არ ეხებიან მუშა ხალხის ინტერესებს. პირიქით, არ მოიპოება არც ერთი ისეთი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხი, რომლის გადაწყვეტაშიც, სოციალდემოკრატია არ იღებდეს მხურვალე მონაწილეობას.

სასაცილო იქნებოდა გვეფიქრნა, ვითომ ცხოვრებაში სოციალური კლასები ეიწროთ იყვენ შემოფარგლულნი, რომ მათ შორის რაიმე ჩინეთის კედლები იყოს ამართული. საზოგადოებრივი ცხოვრება ერთი განუყოფელი მთელია, სადაც ორგანიულათ არის ჩაქსოვილი ყველა სოციალურ კლასების ინტერესები. თვითეული საზოგადოებრივი საკითხი მიუცილებლათ აინტერესებს—ასე თუ ისე—ყველა საზოგადოებრივ კლასებს, მაგრამ თვითეული კლასის პოზიცია ამა თუ იმ საკითხის მიმართ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ადგილი უჭირავს ამ კლასს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ე. ი., დამოკიდებულია იმის კლასობრივ ინტერესებზე; ყველგან და ყველაფერში, საბოლოო ანგარიშით, ამ უკანასკნელთ ეკუთვნის გადამწყვეტი მნიშვნელობა.

ბურჟუაზიული პარტიები—როგორც მემარჯვენე, ის მემარცხენენი თავ-მომწონეთ გაიძახიან, რომ იგინი ყველა საზოგადოებრივ საკითხებს ფართეთა სწყვეტენ, რადგან საზოგადო ინტერესებს ემსახურებიან და სოციალდემოკრატიასავით მოქმედებას არ იზღუდავენ მცხოვრებთა მარტო ერთი ნაწილის (მუშების) ინტერესებით.

ავიღოთ თუნდა სწავლა-განათლების საქმე, დავაწებოთ თავი მემარჯვენე პარტიებს; როგორ იქცევიან ბურჟუა-დემოკრატები? ესენი მომხრე არიან მეცნიერების დამოუკიდებლობის, შეუზღუდველ თავისუფლების; და იმდენათ არიან აზრის თავისუფლებას შეყვარებულნი, რომ ხშირათ სახელათაც კი „თავისუფალ მოაზრეთა პარტიას“ ირქმევენ. მაგრამ თუ „მეცნიერების ტაძარში“ თავისუფალი აზრი, სოციალ-პოლიტიკური სწავლა იმ დასკვნამდის მივიდა, რომ ხალხის კეთილდღეობისათვის საჭიროა არის დაინგრეს არსებული სახელმწიფო, საზოგადოებრივი წესწყობილება და ცხოვრება აშენდეს ახალ საფუძველზე, აი მაშინ ბურჟუა-დემოკრატები ჰყვირიან: სწავლა-განათლება უნდა შეადგენდეს სახელმწიფოს (ბურჟუაზიულ მთავრობის) მონოპოლიას! ბურჟუაზიულ საზოგადოების შემრყეველი მეცნიერება უნდა განიდევნოს სასწავლებლებიდანო. ასე მაგ. ამ რამდენიმე წლის წინათ, ლიბერალებმა და დემოკრატებმა ბრიუსელის „თავისუფალ უნივერსიტეტიდან“ (ლ'უნივერსიტე ლიბრ დე ბრიუსელ) გააძევეს სახელგანთქმული მეცნიერი ელიზე რეკლიუ—ძველი კომუნარი, რევოლიუციონერი—წაართვეს გეოგრაფიის კათედრა, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ მეცნიერის პოლიტიკური მიმართულება არ მოეწონათ. სხვა სახელმწიფოებშიაც არა ერთი და ორი მაგალითია იმისი, რომ სოციალისტ პროფესორებს უნივერსიტეტების კარებს უხშოპენ; და ამას ადასტურებს ბურჟუაზიული დემოკრატიაც. ასე „ფართეთ“ სწყვეტავს იგი დასახელებულ საზოგადოებრივ საკითხს.

თუ როგორ „სიფართოვეს“ იჩენს ბურჟუაზიული დემოკრატია ისეთ საკითხებში, როგორიც არის ქალების პოლიტიკური გათანასწორება მამაკაცებთან *), საზოგადოთ სრული და თანასწორი თავისუფლება ყველასათვის, დემოკრატიულ დაწესებულებათა განხორციელება და სხვა, ეს უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა.

ბურჟუაზიული პარტიები იქცევიან ისე, როგორც ამას უკარნახებენ კლასობრივი ინტერესები. ბურჟუაზიულ კლასს—ვინც უნდა იყოს იგი—ვერ შეუძლიან სხვებისათვისაც ნამდვილათ თხოულობდეს იმავ სიკეთეს, რასაც ესწრაფის თავის თავისთვის; ბურჟუაზიული კლასი—თუნდ სოციალურ კიბის დაბალ საფეხურზედაც იდგეს—თავის შემოსავლის ერთ ნაწილს მაინც უეჭველათ ღებულობს სხვების ჩაგვრა-ექსპლოატაციისაგან: ამიტომ ის ვერ ეგუება თანასწორობას.

სულ სხვა გვარია, მუშათა კლასი. იგი საზოგადოებაში ყველაზე უფრო დაჩაგრული კლასია და მისი ჩაგვრა ვერ მოისპობა

---

*) ქალები ევროპაში მოკლებულნი არიან ბევრ მოქალაქობრივ უფლებებსაც. ბელგიაში მაგ. კანონი არა სდევნის ქალიშვილის გამაუბედურებელ მამაკაცს, მარა სდევნის ქალს, თუ ამან „უღალატა“ მამაკაცს. ამის წინააღმდეგ იქაური ბურჟუა-დემოკრატები თითს არ ანძრევენ. სოციალდემოკრატებს კი მრავალჯერ აღუძრავთ საკითხი პარლამენტში და პარლამენტს გარეთაც.

ისე, თუ ძირიანათ არ მოისპო ყველასი და ყოველგვარი ჩაგვრა ექსპლოატაცია. აი ამიტომ სოციალდემოკრატია ყველა პოლიტიკურ პარტიებზე უფრო რადიკალურათ (ძირიანათ) სწყვეტავს ისეთ საზოგადოებრივ საკითხებსაც, რომელნიც პირდაპირ არ ეხებიან მუშა ხალხს და არ შეიცავენ იმის ვიწრო კლასობრივ ინტერესებს. იგი (სოც.-დემ.) ყველაზე უფრო ენერგიულათაც იბრძვის ამ რადიკალურ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლათ.

სოციალდემოკრატია თავის მოწინააღმდეგეებსაც კი იცავს და ექომაგება, როცა ისინი დაჩაგრულები არიან. ავიღოთ მაგ. ეკლესიის საკითხი. კარგათ იცით, რომ ეკლესია დაუძინებელი მტერია პროლეტარიატის მოძრაობისა და სოციალისტურ პარტიებისა. მართალია ამ შემთხვევაში სოციალდემოკრატია საკადრის პასუხს აძლევს „სულის მამების“ მოღვაწეობას, მაგრამ როდესაც სახელმწიფო სჩაგრავს ეკლესიას, სდევნის მორწმუნეებს, სცემს მათ წინააღმდეგ რაიმე განსაკუთრებულ კანონებს, სოციალდემოკრატია ყოველთვის ენერგიულათ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ასეთ პოლიტიკას და ბეჯითათ ითხოვს ეკკლესია შეადგენდეს მორწმუნეთა ისეთ კრებულს, რომელიც ყველა თავის საეკლესიო საქმეებს და სარწმუნოების საკითხებს უნდა განაგებდეს სრულიად დამოუკიდებლათ, სრულიად თავისუფლათ. სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს ეკკლესიის საქმეში, ეკკლესია არ უნდა ერეოდეს სახელმწიფოს საქმეში.

ეროვნული საკითხიც არ არის მუშა ხალხის ვიწრო კლასობრივი საკითხი, მაგრამ დაჩაგრულ ეროვნებას დღეს არ ჰყოლება სოციალდემოკრატიაზე უფრო მხნე და თავგამოდებული დამცველი. სოციალდემოკრატია—წინააღმდეგ ბურჟუაზიულ პარტიებისა—იცავს დაჩაგრულ ეროვნებას, რასაკვირველია, მაშინაც კი, როცა ეს უცხოეთის ეროვნებაა.

გაიხსენეთ ეროვნულ საკითხის გამო სოციალდემოკრატიის მოქმედება ინგლისში, გერმანიაში, ავსტრიაში და სხვ. სოციალდემოკრატიავე დაჟინებით ებრძვის ეგრეთ წოდებულ კოლონიალურ პოლიტიკას, რომლის საშუალებით ბურჟუაზია ჰყვლეფავს უკან ჩამორჩენილ ერებს.

კერძოთ რუსეთის იმპერიაში ეროვნული საკითხი ყველა პარტიებზე უფრო რადიკალურათ სოციალდემოკრატიამ დააყენა. მან აღიარა დაჩაგრულ ეროვნების სრული თვით-გამორკვევის უფლება. მან აღიარა, რომ მომხრეა არა მარტო ავტონომიის, არამედ სრული განცალკევებისაც (რუსეთის იმპერიიდან) უკეთუ ასეთი იქნება ამა თუ იმ დაჩაგრულ ერის „ვოტუმი“ (საერთო გადაწყვეტილება). ჩვენ უკვე ვიცით რომ შვეცია-ნორვეგიის სოციალდემოკრატია გასულ წელიწადს არამც თუ წინ არ აღუდგა შვეცია-ნორვეგიის „უნიის“ (კავშირის) გაწყვეტას, პირიქით უმალვე მიემხრო და ხელი შეუწყო ერის საერთო სურვილს.

მუშა ხალხის პირდაპირ და ვიწრო კლასობრივ ინტერესების გარეშე სდგას წვრილ მესაკუთრეების, გლეხობისა და წვრილ ბურჟუაზიის მფარველობა. მაგრამ სოციალდემოკრატია მაინც ამ კლასების მხარეზე დგას ყოველთვის, როცა კი ისინი თავიანთ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ არ ითხოვენ რაიმე რეაქციონურ ზომას, არა ცდილობენ ექსპლოატაციის გაძლიერებას (მაგალ. არ ითხოვენ მუშების ხელფასის დაკლებას ან სამუშაო დღის გაგრძელებას და სხ. ამ შემთხვევაში, თქმა არ უნდა, რომ სოციალდემოკრატია მათ წინ აღუდგება). როდესაც სოციალდემოკრატია იბრძვის გააუქმოს არაპირდაპირი გადასახადები, მოსპოს პირველ საჭიროების საგნებზე დადებული ბაჟები, შემოიღოს ქონება-შემოსავლის კვალობაზე გაწერილი პროგრესიული გადასახადი და უქონელნი ან პატარა შეძლების პატრონნი სრულიად განთავისუფლდენ გადასახადებიდან, ყველა ამით სოციალდემოკრატია ეხმარება, ნამდვილ მფარველობას უწევს არა მარტო პროლეტარებს, არამედ აგრეთვე წვრილ მესაკუთრეებს—გლეხობას, წვრილ ვაჭრებს და საზოგადოთ წვრილ ბურჟუაზიას. მათვე ემსახურება სოციალდემოკრატია, როდესაც იბრძვის მოახდინოს დიდ ქონებათა კონფისკაცია, ადგილ-მამულები გადასცეს მთელ ხალხს, მოახდინოს მათი მუნიციპალიზაცია; მათვე ემსახურება სოციალდემოკრატია, როდესაც ესწრაფის მოსპოს მძიმე სამხედრო ბეგარა, გააუქმოს მუდმივი ჯარები და მის ნაცვლათ შემოიღოს სახალხო მილიცია. ერთი სიტყვით, სოციალდემოკრატია არის ნამდვილი მცველი და მფარველი ყველა გაჭირვებულთა; იგი იბრძვის დღესვე განახორციელოს ხალხის კეთილდღეობის ის „მაქსიმუმი“, რაიც კი შესაძლებელია ცხოვრების დღევანდელ კაპიტალისტურ პირობებში. სოციალდემოკრატია თავის საქმით, მოქმედებით ეუბნება ქვეყანას: „მოვედით ჩემთან ყოველი ტვირთმძიმენი და მაშვრალნი და მე განგისვენოთ თქვენ“! ამიტომაც არის, რომ სოციალდემოკრატიის ბაირაღს მისდევენ არა პროლეტარული ელემენტებიც, ამიტომაც არის შესაძლებელი, რომ სოციალდემოკრატიას მიემხროს ხალხის დიდი უმრავლესობა ისეთ ქვეყანაშიაც, სადაც პროლეტარიატი ჯერკიდევ არ შეადგენს უმრავლესობას.

სოციალდემოკრატია ემსახურება ხალხს, იგია ნამდვილი სახალხო პარტია და ეს სწორეთ იმიტომ, რომ სოციალდემოკრატია არის პროლეტარიატის ინტერესების წარმომადგენელი.

დღეს პროლეტარიატის ინტერესები სავსებით ეთანხმება მთელი ქვეყნის განვითარების ინტერესებს. საზოგადოებრივი მეცნიერება გვასწავლის, რომ თუ დღევანდელი ბურჟუაზიული საზოგადოება არ გაიყინება ერთ წერტილზე—ეს კი შეუძლებელია, რადგან ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ განვითარების ბუნებას—მაშინ თანამედროვე კაცობრიობას წინ მხოლოდ ერთი გზა უძევს: სოციალიზმისკენ. სოციალიზმის განხორციელება კი პირდაპირი ინტერესია ყველაზე უფრო დაჩაგრულ საზოგადოებრივ კლასისა, იგი კლასობრივათ გაცნობიერებულ მუშა ხალხის საქმეა. აი ამიტომ სოციალდემოკრატიის მოქმედება, კლასობრივი ბრძოლა, რომელსაც იგი აწარმოებს, პროლეტარიატის საერთაშორისო მოძრაობა—ეს საკაცობრიო მოძრაობაა, იმის ბაირაღს ზედ აწერია: ადამიანთა შორის სრული თავისუფლება, თანასწორობა და სიყვარული.

ლ. და—ლი

# ახალი ამბები

✦ გუშინ წინ, 18 აპრილს, საღამოს 6 საათზე თუმანოვის მესამე ქუჩაზე, საკუთარ სახლში **მოკლეს** გრიგოლ ქართველიშვილი. როგორც ამბობენ, ქართველიშვილს პოლიციის აგენტობას აბრალებდენო.

✦ „ელვის“ რედაქციაში 15 აპრილს დაპერილებმა მეტეხის ციხეში მოითხოვეს გუშინ, 19 აპრილს, პროკურორი საქმის გამოსაძიებლათ.

✦ 17 აპრილს, დილის ექვს საათზე, თფილისის საგუბერნიო საპატიმროში **ჩამოახრჩეს** სამსონ ღლონტი, რომელსაც ხაზინადარ მალინოვსკის მოკვლას აბრალებდენ. სამსონ ღლონტი სულ ახალგაზდა, 17—18 წლის ყმაწვილი ყოფილა. ჩამოხრჩობის წინ ტირილი დაუწყვია და ორ კაცს ძალით მიუყვანიათ სახრჩობელასთან (შრ.).

✦ გაზ. „შრომას“ შეუტყვია, რომ ამიერ-კავკასიის **რკინის გზა** სამხედრო უწყებიდან გზათა სამინისტროს ხელში გადადის ამ თვის 27-ში.

✦ გაზ. „ვეს. პატ.“ გაუგია, რომ ნოე რამიშვილს ტობოლის გუბერნიაში ასახლებენ.

✦ ამავე გაზ. ატყობინებენ, რომ ქუთაისის საპყრობილედან გაუნთავისუფლებიათ სტ. რეზნიკოვი, მასწავლ. გრიაზნოვი, გუბერნატორის კანცელ. მმართველი გეგეჭკორი და ციციშვილი,

✦ გუშინ-წინ 18 აპრილს დავიდოვის ქუჩაზე **მოკლეს** ალექსანდრე ცქვიტიშვილი. მოკლული, როგორც ამბობენ, ქუთაისელი ჯაშუში იყო და აქაც გასტროლებზე ჩამოსულიყო. მკვლელები ვერ შეიპყრეს.

✦ 18 აპრილს თფილისში **დაბრუნდა** კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე გენერალი მალამა.

✦ როგორც ნოვოროსსიკიდან გვწერენ ადგილობრივ **სატუსაღოში 250 პოლიტიკური დამნაშავე ზის**. ამათ შორის მირიან, მელიტონ, ნიკო, გერ. და კ. კალანდაძეები; ირაკლი კვაჭანტირაძე, კოსტა გიორგაძე, სამსონ ოჩიგავა, ის. რამიშვილი, კოლა მენაბდე, ნიკ. შაქლაკიძე და სხვები.

✦ გენ.-გუბერნატორმა 29 აპრილს, საღამოს 8 საათისთვის ნება დართო ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთ **კრება გამართონ**. კრებაზე რამდენიმე საყურადღებო საკითხს განიხილავენ თავიანთ ყოფა-ცხოვრების შესახებ.

✦ გუშინ-წინ თფილისის **კადეტების** პარტიის წევრთა კერძო **თათბირი ჰქონიათ**, რომელზედაც დაუსახელებიათ მომავალი კანდიდატები სახელმწიფო სათათბიროში, გ. თუმანოვს ამოსვლია—62 თეთრი კენჭი, ვერმიშევს—57, გ. ზ. გვაზავას—37 და ხატისოვს—35.

✦ თფილისის ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელმა ვ. ნ. ჩირქეზიშვილმა ხელმეორეთ მისცა კავკასიის ნამესტნიკს ქაღალდი, რომლითაც თხოვს ნება დართოს, რომ ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის სამ პარალელურ განყოფილებაში სწავლება სამშობლო რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე სწარმოებდეს. ასეთი შუამდგომლობა ერთხელ კიდეც იყო აღძრული გუბერნატორის წინაშე მაგრამ ამ უკანასკნელმა ეს შუამდგომლობა არ შეიწყნარა. და წინადადება მისცა, ჯერ ქალაქის საბჭოს განეხილა იგი და მხოლოთ ამას შემდეგ გადასცემოდა ნამესტნიკს. მდგომარე წლის 13 მარტს საბჭომ დაადგინა: დამტკიცებულ იქნას გამგეობის მოხსენება სახელოსნო სასწავლებელში სწავლების სამშობლო ენაზე მოწყობის შესახებ ხოლო სასწავლებლისა და პროფესიონალურ სახელოსნოს გამგეობა სასწავლებელთან არსებულ კომისიას გადაეცეს.

## სათათბიროს არჩევნები

16 აპრილს ქუთაისში საოლქო სასამართლოს დარბაზში გლეხთა რწმუნებულების კრება მოხდა. რწმუნებულნი კიდევ მოსულნი არ იყვნენ, რომ ფედერალისტებს და კადეტებს უკვე დაკავებული ქონდათ თავიანთი პოსტები სასამართლოს დარბაზის კიბეებზე და კარიდორებში იმის მოლოდინში, იქნებ ზოგიერთ გულუბრყვილო რწმუნებულის გული მოვინადიროთ და რამდენიმე მაინც გავიყვანოთ ჩვენი ამომრჩეველიო. მაგრამ იმედები გაუცრუვდათ, მათ ვერ შესძლეს იქ მომკა, სადაც არაფერი უთესიათ. გლეხების რწმუნებულნი უფრო შეგნებულნი გამოჩნდენ, ვიდრე ეს ფედერალისტ-კადეტებს ეგონათ. მათი ტკბილი სიტყვები არ. ეკარებოდა გლეხების გულს. არჩევნებს 48 რწმუნებული დაესწრო. აირჩიეს ხუთი ამომრჩეველი საგუბერნიო კრებისთვის. ყველა სოციალდემოკრატები.

იმავე დღეს შორაპანში და სენაკში მოხდა გლეხების რწმუნებულთა კრება. ამ ორივე მაზრებში, ისე როგორც ქუთაისში, არჩეული არიან ყველა სოციალდემოკრატები პირველში 5, მეორეში—3.

— სოფელ დიდი-ჯიხაიში (ქუთაისის მაზრა) ამას წინეთ გლეხებმა 74 ამრჩეველები აირჩიეს. თერთმეტ აპრილს ამრჩეველებს კრება ქონდათ და აირჩიეს ორი ამომრჩეველები: იოსებ სანაძე და ისაკ გახოკიძე—ორივე სოციალდემოკრატია.

— კვირას, 16 აპრილს, დ. სარაჯიშვილის ქარხნებში № 1 და № 2-ში, მოხდა მუშათა არჩევნები ორი რწმუნებულის ასარჩევათ. № 1-ში აირჩიეს გიორგი ობლიძე და № 2-ში იაგორ ტატუნაშვილი. ორივე სოციალდემოკრატია.

## ადგილობრივი პრესა

გაზ. „ივერია“ სწერს: „ამ ორიოდე კვირის წინათ განჯის გუბერნიის ერთ კუთხეში შუშის მაზრაში—მოხდა ისეთი ამბავი, რომელიც თავის შედეგით ჩვენთვის, ქართველებისთვის, განსაკუთრებით საინტერესო და საყურადღებოა“. გაზეთი აღნიშნავს დასახელებულ მაზრაში დამსჯელ რაზმების ბარბაროსულ თარეშობას და დასძენს: „მაგრამ შუშის ამბავს თან მოჰყვა მძლავრი პროტესტი სომხის საზოგადოებისა, რომელმაც მიზანს კიდეც მიაღწია“. მერე რაში გამოიხატა ეს პროტესტი და მიზნის მიღწევა?—„როგორც კი რაზმმა ძალმომრეობა მოიმოქმედა, ადგილობრივმა სომხის ეპისკოპოსმა მაშინვე საპროტესტო დეპეშა აფრინა ნამესტნიკთან; სომხის ინტელიგენციამ დეპუტაცია გაუგზავნა ნამესტნიკს და აუარებელი დეპეშები სტყორცნა რუსეთის და დასავლეთ ევროპის გაზეთებს; სომხის ქალებმა დეპეშითვე მიმართეს ნამესტნიკის ცოლს ტფილისში და იმპერატრიცას, პეტერბურგში“. შედეგი კი იმაში გამოიხატა, რომ მთავრობამ განკარგულება მოახდინა: „1. გაიგზავნოს განჯის გუბერნიაში საჭირო ზომების მისაღებათ ნამესტნიკის თანაშემწე გენერალი მალამა; 2. პოლკოვნიკის ვივერნის რაზმის მოქმედების გამოძიება მიენდოს სამხედრო გამომძიებელს ცეგეფონ-მან-ტეოფელს, და 3. მომრიგებელი შუამავალი ერმოლაევი დროებით დათხოვნილ იქნას თანამდებობიდან და იმის საქმის გამოძიება მიენდოს განჯის ვიცე-გუბერნატორს. ამ მდგომარეობაშია ჯერ-ჯერობით საქმე“. მაგრამ ესეც საკმაო არის

# ფელეტონი

**პარლამენტარიზმი და სოციალდემოკრატია** *).

II

პარლამენტარიზმი მხოლოდ ბურჟუაზიას წარმოადგენსო, ეს აზრი სხვათა შორის, აი საიდან შემუშავდა. პარლამენტის ფუნქციები, მისი მოქმედება მეტათ რთული და მრავალმხრივია. ამის გამო პარლამენტის მოღვაწისათვის აუცილებლათ საჭიროა ქონდეს განსაკუთრებული ცოდნა და ნიჭი, სწრაფი მოსაზრება, მჭევრმეტყველება, ფართო შეხედულობა; მას უნდა შეეძლოს მარჯვეთ გაერკვიოს ხოლმე შინაურ და საერთაშორისო ცხოვრების რთულ კითხვებში; ის აღჭურვილი უნდა იყოს იურიდიულ, ეკონომიურ და ისტორიულ განათლებით. ასეთი ღირსებებით უმთავრესათ შემკულია ბურჟუაზიულ კლასების წარმომადგენლები; ასეთები არიან: ადვოკატები, პროფესორები, ლიტერატორები, მოხელენი და სხ... ან და განათლებული ბურჟუები, რომელთაც დრო და გარემოება უფრო ხელს უწყობთ შეიძინონ საპარლამენტო მოღვაწეობისათვის საჭირო ცოდნა და ნიჭიერება. მაშასადამე, პარლამენტარიზმი მარტო ბურჟუაზიის წარმომადგენელთ შეუძლიათ გამოიყენონო, დაასკვნიან პარლამენტარიზმის მოწინააღმდეგენი.

ამ აზრს შეიძლება ოდესმე კი ქონდა საფუძველი, მაგრამ დღეს კი სრულიად კარგავს ნიადაგს. ცხოვრებამ დღეს უკვე პროლეტარიატის წარმომადგენლებიც შეამკო საპარლამენტო მოღვაწეობისათვის საჭირო ღირსებებით. თვით მუშაობის პირობები პროლეტარიატს ხელს უწყობს შეერთდეს და შეკავშირდეს ორგანიზაციულათ და აი სწორეთ ეს ორგანიზაციები, მათში მუშაობა ზრდის და ავითარებს მუშებში ხსენებულ ღირსებებს: მჭევრმეტყველებას, ფართო შეხედულებას, საორგანიზაციო და საადმინისტრაციო კითხვების შეგნებას და იურიდიულ ცოდნასაც კი. (დიახ, იურიდიულ ცოდნასაც, რადგან კანონების უცოდინარობის გამო მუშები ხშირათ ზედ-მეტათ იჩაგრებიან ხოლმე თავიანთ ბატონ-პატრონებისაგან და ამის გამო იძულებული ხდებიან შეისწავლონ ეს კანონები).

და არა მარტო ყველა ზემო ჩამოთვლილი საპარლამენტო ცოდნას და უნარს ითვისებს პროლეტარიატი; მისი ცხოვრების პირობები მას ფართო პოლიტიკურ განათლებასაც სძენს: მოქირავე მუშა იძულებულია ხშირათ იმგზავროს ერთი ქვეყნიდან მეორეში, გაიცნოს სულ სხვადასხვა გვარი ცხოვრება და ზნე-ჩვეულება. მარტო ეს გარემოება აფართოვებს მის მსოფლიო მხედველობას, ბერტყავს მისი თავიდან მრავალ ცრუმორწმუნეობას, აძლევს ახალ-ახალ ცოდნა-გამოცდილებას. ამას გარდა, მოქირავე მუშა თავისი ბრძოლის შემწეობით თანდათან მეტ თავისუფალ დროს პოულობს, რომელსაც ის ხშირათ ახმარს ფიქრს და აზროვნებას თავის მდგომარეობაზე და ყოველსავე იმაზე, რაც მის გარშემო ხდება, და, რაც უფრო ის იგებს საზოგადოთ მუშათა ინტერესების სოლიდარობას, მით უფრო რწმუნდება, რომ მარტო საკუთარი ძალღონით ვერ გაიუმჯობესებს მდგომარეობას, მით უფრო ეინტერესება მას ყველა ის კითხვები, რომლებიც მის კლასს შეეხება.

ყველა ამ მიზეზის გამო პროლეტარიატის წრიდან სულ უფრო და უფრო ბლომათ გამოდიან ისეთი ორატორები და პოლიტიკოსები, რომლებიც მარჯვე მეტოქეობას უწევენ ბურჟუაზიის წარმომადგენლებს პარლამენტში და მედგრათ იცავენ იქ მუშათა კლასის ინტერესებს. სადაც შემოღებულია საყოველთაო საარჩევნო უფლება და სადაც ამასთან მუშათა მოძრაობაც ძლიერია, იქ პარლამენტის ჩარხის ტრიალი აღარ შეადგენს ბურჟუაზიის მონოპოლიას.

პარლამენტარიზმის წინააღმდეგ კიდევ ის მოსაზრება მოყავთ, რომ ეს სისტემა ხელს უწყობს მექრთამეობის და მოსყიდვის განვითარებასო. მართლაც, პარლამენტის მოღვაწე მეტათ მტკიცე ხასიათის [illegible] ხნების პატრონი უნდა იყოს, რომ ის ადვილათ ვერ შეაცდინოს სხვა და სხვა გვარმა საცთუნებელმა, რომელიც მას მრავლათ ახვევია გარშემო; თავისი მოღვაწეობის დროს მას ხშირათ აქვს საქმე აუარებელ კერძო ინტერესებთან, დამოკიდებულება აქვს მრავალ კერძო საქმეებთან, რომლების „გაკეთებისათვის“ მას დაინტერესებული პირები განსაკუთრებულ „ჯილდოს“ პირდებიან. ბურჟუაზიის წარმომადგენლები ხშირათ მარტო ამ მოსაზრებითაც კი ცდილობენ არჩეულ იქნენ პარლამენტში, ჯიბის გასქელების იმედით მიეშურებიან იქ. აი ასე რყვნის პარლამენტარიზმი ყველას, მას შეუძლია გარყვნას მუშათა დეპუტატებიც და, მაშასადამე, შორს ჩვენგან პარლამენტარიზმიო, გაიძახიან უკანასკნელის მოწინააღმდეგენი, თითქო მოსყიდვა-მექრთამეობა პარლამენტარიზმის არსებასთან იყოს აუცილებლათ შეკავშირებული. მათ ავიწყდებათ, რომ ასეთი გამრყვნელი გავლენა გამომდინარეობს არა პარლამენტარიზმიდან, არამედ საზოგადოთ კაპიტალისტური ცხოვრების პირობებიდან. პარლამენტარიზმი რომ მოვსპოთ, ამით ოდნავაც არ მოისპობა მოსყიდვა-მექრთამეობა, თუ კაპიტალიზმი ისევ ძალაში დარჩება; პირიქით მოსყიდვა-მექრთამეობა მაშინ ერთი-ორათ გაძლიერდება, რადგან სახელმწიფო მართვა-გამგეობა ბიუროკრატიის ხელში გადავა და ბიუროკრატია კი, ხომ მოგეხსენებათ, ბუდეა ყოველ გვარ მექრთამეობისა, თავისი „უხილავი“ მოქმედების მეოხებით.

კიდეც რომ პარლამენტარიზმს, როგორც სისტემას, მართლა ქონდეს ასეთი გამრყვნელი გავლენა პარლამენტის მოღვაწეებზე, სოციალდემოკრატიას საშუალება აქვს თავის დეპუტატებს თავიდან ააცდინოს ასეთი გავლენა. მებრძოლი პროლეტარიატი არა მარტო ზრდის საპარლამენტო მოღვაწეებს, ამასთან კიდეც იცის მათი დაყენება თავისი მხედველობის ქვეშ. მუშათა პარტია კრიჭაში უდგია თავის დეპუტატებს და ყოველ მათ ნაბიჯს პარლამენტში გაფაციცებით ადევნებს თვალყურს. არც ერთ სხვა პარტიაში არ არსებობს ისეთი სასტიკი კონტროლი თავის წევრთა მოქმედების, ისეთი სასტიკი დისციპლინა, როგორც სოციალდემოკრატიაში, და ეს კონტროლი, ეს დისციპლინა ვრცელდება ყველა წევრებზე, და, მაშასადამე, მეთაურებზედაც, რომლებიც უმეტეს ნაწილათ პარლამენტის დეპუტატებათ ხდებიან. მუშათა დეპუტატი პარლამენტში წარმოადგენს მხოლოდ უბრალო რწმუნებულს მუშათა პარტიისას. ამ რწმუნებულის ყოველგვარი მოქმედება და საქციელი სავსებით უნდა ეთანხმებოდეს პარტიის „გემოს“ და შეხედულებას. სადაც პროლეტარიატს უკვე ცალკე, დამოუკიდებელი პარტია შეუდგენია და პარლამენტარულ ბრძოლას შესდგომია, იქ მას შეუძლია აღარ ეშინოდეს თავის წარმომადგენელთა „შეუფერებელ“ მოქმედებისა პარლამენტში, და ამ უკანასკნელთ, რაც უნდა ისინი სუსტი ხასიათის გამოდგენ, ადვილათ ვერ დასძლევს ვერავითარი მოსყიდვა, ვერავითარი ქრთამი. ისტორიას არ ახსოვს ამ აზრის დამრღვევი არც ერთი ფაქტი. ამ მხრივ, როგორც სხვა მხრივაც, სოციალდემოკრატიაზე უფრო უმწიკვლო პარტია, მეორე არ მოიძებნება.

იგივე სასტიკი კონტროლი და რკინის დისციპლინა შეუძლებლათ ხდის რაიმე მოტყუებას ან ღალატს პარტიის წინაშე მუშათა დეპუტატების მხრივ პარლამენტში.

პარლამენტარიზმის წინააღმდეგ კიდევ შემდეგი საბუთი მოყავთ: პროლეტარიატი, თავისი ეკონომიური დამოკიდებულობის გამო, თანამედროვე საზოგადოებაში ვერასოდეს ვერ მიაღწევს სრულ თავისუფლებას თავის წარმომადგენელთა ასარჩევათო. მუშებს მათი ბატონ-პატრონები ათასგვარი საშუალებით (თხოვნით, მოსყიდვით, შეშინებით, პირდაპირ ძალდატანებით) ხშირათ, ძალიან ხშირათ აიძულებენ ხოლმე ნამდვილ თავიანთ მოწინააღმდეგეთაც კი თეთრი კენჭი ჩაუგდონ. ამიტომაო, დაასკვნიან პარლამენტარიზმის უარმყოფელნი, დიდი შეცდომაა რაიმე სერიოზულ შედეგს გამოველოდეთ საპარლამენტო არჩევნებში პროლეტარიატის მონაწილეობისაგანო. მაგრამ, სწორეთ რომ ვთქვათ, ნამდვილი შეცდომა ის წარმოდგენაა, თითქო ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი საარჩევნო ბრძოლაში ემარხოს. სანამ კაპიტალიზმი არსებობს, რანაირი გზაც უნდა აირჩიოს პროლეტარიატმა თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ და მეტი ძალა-უფლების მოსაპოებლათ, ყველგან მას წინ ეხეჩება კაპიტალი და მთავრობა, რომლებიც ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ ხელი შეუშალონ მის წარმატებას. განა კაპიტალისტები და მთავრობა მუშათა პროფესიონალურ მოძრაობასაც კი წინ არ ეღობებიან, თუმცა ეს მოძრაობა თავისთავათ გაცილებით უფრო უწყინარი და პოლიტიკურ ხასიათს მოკლებულია? მოყვანილი საბუთი რომ მართალი იყოს, მაშინ ჩვენ კაპიტალიზმის მოსპობამდე გულ-ხელდაკრეფილი უნდა დავმჯდარიყავით, და მუშათა თითქმის ყოველგვარ მოძრაობას წესი უნდა აგებოდა! პარლამენტარიზმის წინააღმდეგი მით უფრო ვერ ვიქნებით მოყვანილ საბუთის ძალით, რომ პარლამენტის არჩევნების დროს მუშები სრულიადაც არ ხდებიან ძალდატანების მსხვერპლნი იმაზე უფრო, ვიდრე სხვა ფორმის კლასობრივი ბრძოლის დროს; ხოლო ფარული კენჭის ყრის შემწეობით შესაძლებელი ხდება თითქმის ყოველგვარი ძალდატანების თავიდან აშორება.

პარლამენტარიზმს რომ შეუძლია სრულიათ წინააღმდეგი როლი ითამაშოს, ვიდრე ზოგიერთებს გონიათ, ამას აშკარათ

*) შედგენილი, კაუცკის მიხედვით.

ბ-ნ გოგიჩაიშვილისათვის, რომ მან ფაქტებით უჩვენოს ხალხს ის გზა, რომელზედაც მტკიცეთ უნდა ადგეს ქართველობა, თუ კი ამას შეგნებული აქვს თავისი ეროვნული მოვალეობა. და რომ უკეთ იმოქმედოს ქართველობაზე, ბ. ფ. გოგიჩაიშვილი ასეთ გოდებას ძლევა:

„შუშის ამბებისთვის სომხებს აღმოაჩნდათ ეპისკოპოსი აშოთი. ჩვენც გვყავს ეპისკოპოსები, რომელნიც იმავ სარწმუნოებაზე ლოცულობენ, რომელზედაც მეფე და მისი მხედრობა. მაგრამ ქართველ ქალების გაუპატიურებამ ვერც ერთი ქართველი ეპისკოპოსი საპროტესტოთ ვერ აამხედრა.

სომხებში აღმოჩდენ ისეთი ქალები, რომლებმაც სომეხ ქალთა წარმომადგენლობა იკისრეს და აღშფოთებულის გრძნობით თვით იმპერატრიცასაც კი მიმართეს მფარველობის სათხოვნელათ. ჩვენ კი გვყავს ისეთი ქალებიც, რომელთაც პირადი ნაცნობობაც კი აქვთ ხელმწიფესთან და იმპერატრიცასთან. ეს ქალები არ არიან არც სოციალისტები, (?) არც რევოლიუციონერები (?!); ისინი უარს არ ჰყოფენ ხელმწიფობას, მონარქიას, არ ეტრფიალებიან რესპუბლიკას,—მაშასადამე, პრინციპიალურათ ისინი ვერ იქნებიან წინააღმდეგნი ტახტისადმი მიმართვისა და ხელმწიფესთან თხოვნის გაგზავნისა. მიუხედავათ ამისა, ქართველ ქალებში არ აღმოჩნდა არც ერთი მანდილოსანი, რომელსაც, თავის დების გაუპატიურებით აღშფოთებულს, ხმა ამოეღო და, თუ პროტესტი არა, სომეხ ქალებსავით თავისი აღშფოთება მაინც გამოეთქვა და დედაკაცთა ნამუსისათვის მფარველობის სათხოვნელათ მაინც მიქცეოდიყო უმაღლეს მთავრობის წარმომადგენელთა წინაშე.

სომხებმა სადეპუტაციო პირებიც იშოვნეს თავიანთ წრეში ნ. მესტნიკთან გასაგზავნათ, რომლებმაც მთელი სომხის საზოგადოების აღშფოთება დაუფარავათ გადასცეს კავკასიის მთავრობის უმაღლეს წარმომადგენელს. ჩვენშიაც არიან ისეთი წრეების კაცები, რომელნიც შინაურულათ სადარბაზოთაც დადიან ნამესტნიკის სასახლეში. იმათ დაუბრკოლებლათ შეეძლოთ თავიანთი გრძნობა ქართველ ხალხის გაბიაბრუების გამო გამოეთქვათ მთავრობის წინაშე, რომლისგანაც ურთი ერთობითა და დამოკიდებულებით განშორებულ-განცალკევებულნი არ არიან. მაგრამ აქაც, ამ წრეშიაც, ჩვენი ხალხოსნურ შეურაცხყოფის გამო პროტესტის ჩამი-ჩუმიც კი არ გაისმა, ქართველ ქალთა ტირილმა და მოთქმამ მათ ეროვნული მოვალეობა ვერ გაახსენა“.

ერთის სიტყვით, როგორც და რა მხრივაც უნდა შევხედოთ საქმეს, ყოველთვის იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ქართველობაში არ სჩანს ის ძალა, რომელიც მთელი ერის ხალხოსნურ ცხოვრების მაჯის ცემის გამომხატველია, რომელიც ხალხის ეროვნულ ტკივილსა და სულის კვეთებას გამოსთქვამს.

ბ-ნი გოგიჩაიშვილი განმარტავს, რომ იქ, სადაც შეუგნიათ ეროვნული მოვალეობა და ხალხოსნური მაჯის ცემაც არ შეჩერებულა, იქ ნამესტნიკს უგზავნიან დეპუტატებს, მთავრობას მიმართავენ დეპეშებით, შუამდგომლობით, თხოვნებით; და რომ ეს გზა ხალხისათვის მეტათ სასიკეთო და ნაყოფიერია, ეს აშკარაა:

„რა მიზეზია,—კითხულობს ბ-ნი ფ. გოგიჩაიშვილი, რომ ადგილობრივი მთავრობა სომხებს „ცერემონიას“ უწევს. შუშის მაზრაში ქალების გაუპატიურების საქმის გამოსაძიებლათ კომისიებს ნიშნავს, ხოლო საქართველოს დაბა-სოფლებში არა თუ კომისიას არ აგზავნის, არამედ ქართველ ქალთა გაუპატიურების შესახებ კორესპონდენციების დაბეჭდვისთვინაც კი ქართულ გაზეთს ხურავს და რედაქტორს თფილისიდან ასახლებს?“

და უპასუხებს:

„ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ არა მარტო იმ გარემოებაში, რომ სომხები რუსეთის საერთო რევოლიუციაში არ იღებდენ მონაწილეობას და ამიტომ მათ მთავრობა თავზე ხელს უსვამს, არამედ უფრო იმაში, რომ სომხეთა პროტესტი (იგულისხმე დეპუტაციები, თხოვნები და სხ.), როცა იგი მათ საერთო ეროვნულ საქმეს შეეხება, ყოველთვის მძაფრი (ჰოი, საშინელებავ!) და ერთსულოვანია (იგულისხმე ეპისკოპოსების და ინტელიგენტების ერთსულოვნება)“.

აქედან დასკვნა ცხადია: ქართველობა უნდა ჩამოშორდეს რუსეთის საერთო განმათავისუფლებელ მოძრაობას და დაკმაყოფილდეს მთავრობასთან თხოვნების გზავნით. აი საითკენ მოუწოდებს ქართველობას ბ-ნი ფ. გოგიჩაიშვილი; აი სადამდის ჩამოქვეითდა, სადამდის დაეცა ეს „ახალგაზდა მეცნიერი“!

ბ-ნ გოგიჩაიშვილს ეტყობა თვითონ უნდა დაისაკუთროს „ხალხოსნურ პოლიტიკის“ აღმოჩენის პატივი, თორემ ის ვერ დაივიწყებდა, რომ ამას წინათ—მისი მოწოდების დაუხმარებლივ—ქართველ ქალებშიაც აღმოჩნდა ისეთი მანდილოსანი, რომელმაც იმპერატრიცას მიმართა თხოვნით; ქართველ საზოგადოებასა და ინტელიგენციასაც არა ერთხელ გაუგზავნია დეპუტაცია ნამესტნიკთან და ჩვენი თავად-აზნაურობა კიდევ ხომ მუდამ დაჩოქილია მთავრობის წინაშე. ცხადია „ქართველობასაც“ ჰქონია შეგნებული „ეროვნული მოვალეობა“, არც ჩვენში ყოფილა შეჩერებული „ხალხოსნური მაჯის ცემა“.

მაგრამ ბ-ნი გოგიჩაიშვილი მაინც დამწუხრებულია, რომ ქართველობას არ მოეპოება საკმაო „ეროვნული გრძნობა-ცნობიერება“, და თუ ვინ არის ამაში დამნაშავე „მკითხველმა უჩვენოთაც იცის“.

ბრალმდებელს საბუთათ მოყავს სხვადასხვა ზღაპრები და ანეგდოტები, რომელიც მას თვითონვე შეუთხზავს და ან გაუგონია თავად-აზნაურულ „სალონების“ „კულუარებში“.

სოციალდემოკრატია რომ დაუძინებელი მტერია ბ-ნ გოგიჩაიშვილის მიერ აღსარებულ „ეროვნულ გრძნობა-ცნობიერების“, ეს თავისთავათ ცხადია; ხოლო რამდენათ სწორია მის მიერ მოყვანილი ზღაპრები,—ამისი კი რა მოგახსენოთ.

სოციალდემოკრატიის საბოლოო შესაჩვენებლათ ბ-ნი ფ. გოგიჩაიშვილი ლალადებს: „ევროპიდან ქართლში გადმოტანილმა სოციალიზმმა ანარქიზმში შესტოპა და გატერორისტ-გაანარქისტდა... აღარავინ იცოდა, ვინ ვისა და რისთვის ჰკრავდა ტყვიას და საიქიოს გაისტუმრებდა...“ აი რა ზნეობრივ სიფაქიზისა ბძანდება ჩვენი ავტორი.

**

სოციალდემოკრატების შეჩვენებაში „ივერია“ და ბ-ნი გოგიჩაიშვილი ერთიანათ გააფასეს „ნობათმა“ და ანარქისტებმა. ესენი უფრო რიხიანათ დასძახიან სოციალდემოკრატებს: „გეყოთ, რაც აბრიყვეთ ხალხი, გეყოთ რაც იმის უვიცობაზე სპეკულიაციით იცხოვრეთ! გეყოთ რაც ტყუილები გაასაღეთ, აწი ანგარიშის დრო დადგა. ანარქიზმი ისეთ საშინელ აფთართა საშინელ კბილებს გადაურჩა, როგორც მარქსი და ენგელსი იყვნენ (ეტყობა ამათგან ძალიან მწვავეთ მოხვედრიათ)! ერთი მითხარით ეხლა, რა უნდა დააკლოს მას თქვენმა უკბილო ღრანჭებმა?“

დიდება თქვენს ძლიერებას ბატონებო! მაგრამ ერთი რამ არის უცნაური: თქვენი სიტყვით სოციალდემოკრატიული მიმართულება ანარქისტულზე უმცროსი არის ხნიერობით; თქვენივე სიტყვით ანარქიზმის დასაბამი მიკარგულია ისტორიის შორეულ წარსულში; თქვენივე სიტყვით ანარქიზმის ყუმბარა სახელმწიფოს, ღრიდან წარმოშობისა, საძირკველშივე თან დაჰყვა; და როგორ მოხდა, რომ თქვენ ეს ყუმბარა აქამდინ ვერ გახეთქეთ და ვერ ააფეთქეთ სახელმწიფოებრივი ცხოვრება? როგორ მოხდა რომ მრავალ საუკუნეთა არსებობის განმავლობაში თქვენმა მოძლვრებამ ვერ მოიმხრო ცოტათი მაინც საგრძნობელი ნაწილი იმ ხალხისა, რომლის საბედნიეროთ იგი არის მოვლენილი? და ის კი, ვინც „აბრიყვებს ხალხს და სხ.“ დღეს ისეთ ძლიერ საერთა შორისო პარტიას შეადგენს, რომ თვით უძლიერესი სახელმწიფონიც ყოველ ნაბიჯზე იძულებულნი არიან მას ანგარიში გაუწიონ!

როგორ მოხდა ყველა ეს?

არა, ბ.ბ. ანარქისტების და „ნობათისტების“ საქმე რაღაც ძალიან ჭანდრაკულათ უნდა იყვეს.

---

ამტკიცებს ის გარემოება, რომ ფაქტიურათ ბურჟუაზია (განსაკუთრებით გერმანიაში, სადაც სოციალდემოკრატია უძლიერესი პარტია გახდა) დიდ იმედებს აღარ ამყარებს პარლამენტარიზმზე; მას აღარ წამს, რომ ეს სისტემა ყოველთვის და ყოველ პირობებში მის ბატონობას უზრუნველყოფს; ის ეხლა ცდილობს, რომ პარლამენტს მნიშვნელობა წაართვას, დაასუსტოს იგი და დაემყაროს აბსოლიუტიზმს და მილიტარიზმს. იყო დრო, როდესაც ხალხის კონსერვატორობის იმედით ბურჟუაზია საყოველთაო საარჩევნო უფლების მომხრე იყო, ახლა-კი სადაც ეს უფლება არსებობს (მაგალ. საფრანგეთში), ბურჟუაზია უკვე შიშით ცახცახებს მისგან, ხოლო სადაც ჯერ კიდევ არ შემოუღიათ, ყოველ საშვალებას ხმარობს არც არასოდეს იქნეს შემოღებული. აშკარაა—შიში საყოველთაო საარჩევნო უფლების წინაშე ნიშნავს შიშს პროლეტარიატის წინაშე. და თუ ბურჟუაზიამ შეიგნო, რა სახიფათოა მისთვის ეს უფლება, მეორე მხრით პროლეტარიატმა ეხლა ყველგან კარგათ იცის, რა მძლავრი რევოლიუციონური იარაღია ეს უფლება მის ხელში. და აი პროლეტარიატი არავითარ მსხვერპლს აღარ ერიდება, თავგანწირვით იბრძვის საყოველთაო საარჩევნო უფლების მოსაპოვებლათ ყველგან, სადაც-კი ჯერ მოუპოებელი აქვს (ბელგიაში, ავსტრიაში). საკმაოა გერმანიის მუშებს ეს უფლება წაართვან, ამას საშინელი რევოლიუციის ქარტეხილი მოყვება.

ბრმა უნდა იყოს ადამიანი იფიქროს, რომ პარლამენტარიზმი საყოველთაო საარჩევნო უფლების მეოხებითაც ბურჟუაზიას აინჯებს ბატონობასო. ეხლა ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ნამდვილი პარლამენტარული რეჟიმი ისევე შეიძლება პროლეტარიატის დიქტატურის იარაღათ გადაიქცეს, როგორც ბურჟუაზიის ხელშია ის დღეს ასეთ იარაღათ. მხოლოდ აუცილებლათ საჭიროა არსებობდეს საყოველთაო საარჩევნო უფლება და ნამდვილი პარლამენტარული რეჟიმი; უნდა მოისპოს მთავრობის ძალა-უფლება პარლამენტზე, თანასწორათ უნდა განაწილდეს საარჩევნო ოლქები, დაცულ იქნეს კენჭის ყრის სრული საიდუმლოება, შემოკლდეს პარლამენტის ვადა, არსებობდეს სრული თავისუფლება ბეჭდვისა, კრებისა, კავშირებისა და სხ.

დასასრულ, კვლავ უნდა გავახსენოთ მკითხველს, რომ სოციალდემოკრატია ოდნავაც არ ფიქრობს პარლამენტარული ბრძოლა იკმაროს და ყოველი პოლიტიკური ბრძოლა უარყოს. ამაზე უფრო შემცდარი აზრი იშვიათია. პირიქით, სოციალდემოკრატია, ვიმეორებთ, თავდაპირველათ და უმთავრესათ რევოლიუციონური ბრძოლის მომხრეა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ს.-დ. პირდაპირ რევოლიუციონურ ასპარეზზე მხოლოდ რევოლიუციის დროს გამოდის. სხვა დროს კი ის ცდილობს რაც შეიძლება დააჩქაროს რევოლიუცია და ამისათვის ერთ-ერთ საუკეთესო საშვალებათ მას მიაჩნია პარლამენტარული ბრძოლა. ასეთ საშვალებათ პარლამენტი, სხვათა შორის, იმით ხდება, რომ ჲისი შემწეობით პოლიტიკურ პარტიებს შეუძლიათ მოძრაობაში მოიყვანონ თითქმის მთელი ხალხი; პარლამენტის პარტიებს არა ერთხელ მიუმართავთ ხალხისათვის ამა თუ იმ მოსაზრების გამოსაყვანათ და აჯანყებაზედაც კი მოუწოდებიათ ხოლმე. და ეს მოწოდება ყოველთვის როდი დარჩება ხმათ მღაღადებლისათ, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ გამოხატავს ეს მოწოდება ხალხის მომწიფებულ არსებით მოთხოვნილებას.

ამნაირათ პარლამენტარიზმი და „რევოლიუციონიზმი“ ორი ერთმანეთის შემავსებელი ბრძოლაა და მათი ერთმანეთისაგან მკაცრათ განცალკევება შეუძლებელია.

**ვალენტინი.**

# პროვინცია.

**ოზურგეთი.** გურიის „დამსჯელ“ რაზმს აკლდება. ნაწილი პლასტუნთა ბატალიონისა თავისი შტაბით ქ. ბაქოში გადადის. ქალაქიდან 15 აპრილს გავლენ. აქ რჩება ცნობილი ხერსონის პოლკი.

12 აპრილს ნასაკირალის გზატკეცილზე გაძარცვეს ხიდისთავში მამაკალი დილიჟანსი და ლინეიკა. ვისაც რა აღმოაჩნდა, ფული, საათი თუ სხვა რამე ძვირფასი ნივთი წაიღეს და მიიმალენ.

სამი თვის წინათ დაპატიმრებული სიმონ გრიაზნოვი ამ დღეებში გამოუშვეს ციხიდან, როგორც სრულიათ უდანაშაულოთ დაჭერილი. გრიაზნოვის ტყვეობის დროს იმისი სახლ-კარი რამოდენიმეჯერ აწიოკეს და მანგრ-მოანგრიეს.

**№**

—

**ასკანა** (გურია). რეაქციის გაძლიერებასთან ერთათ ადგილობრივმა ბნელმა ძალებმაც ფრთება შეისხეს. ძლიერ გახშირდა ძარცვა-გლეჯა. დამსჯელი რაზმის მოთხოვნილება დღითი-დღე იზრდება და ბოლო აღარ უჩანს. 6 აპრილს ასკანას მაზრის უფროსი ეწვია ცნობილი მკედარძის თანხლებით. მაზრის უფროსმა ხალხს „ნედოიმკების“ გადახდა მოსთხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეგზეკუციით დაემუქრა. როგორც საზოგადო ერილობაზე გამოირკვა ეს „ნედოიმკები“ ხალხს თავის დროზე შეუტანია, მარა სოფლის ჭამიებს 2000 მანეთამდე ფული ჩაუყლაპავთ ნაწილი ამ ფულისა უპატიებია მანიფესტს და ნაწილი ხელ-ახლა უნდა გადაიხადონ.

„ნედოიმკების“ გაგონებამ ზოგიერთ სულიერ მამებსაც აღუძრა თურმე სურვილი დრამის ფულის განაღდებისა.

სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები აქაც დასრულდა. ჯერ აირჩიეს ათის თავები, ხოლო 11 აპრილს ათის თავებმა ფარული კენჭის ერთ აირჩიეს ორი სამაზრო წარმომადგენელი ა. ნინიძე და ი ჩავლეშვილი.

**თ—წვერა.**

—

**ლანჩხუთი.** (გურია) ათ აპრილს საკუთარ სახლში მოკლეს ადგილობრივი მცხოვრები სადიბისტრო წილოსანი. მკვლელი აღმოჩნდა მოკლულისავე ძმა ლევანტი წილოსანი. მკვლელობა პირად უკმაყოფილობას გამოუწვევია.

მარტის შუა რიცხვებში, როგორც ყველგან გურიაში, ისე აქაც აირჩიეს ათის თავები. 11 აპრილს ათის თავებმა აირჩიეს ორი რწმუნებული გიორგი ცინცაძე და სამსონ ბარამიძე, რომელნიც 16 აპრილს ოზურგეთს გაემგზავრენ სხვა სოფლის წარმომადგენლებთან ერთათ ორი ამომრჩევლის ასარჩევათ. არჩეულები რა თქმა უნდა ს.-დემოკრატები არიან.

**რიგორისტი.**

—

**ს. ბანძა.** (სენაკის მაზრა) 25 იანვარს, როდესაც ბ. ჩიქოვანის რაზმი ცეცხლითა და მახვილით მოადგა აქამდე ხიცოცხლით სავსე ს. ბანძას, რამოდენიმე ადგილობრივმა რაიონმა (რომელთა დასახელებას დროებით საჭიროთ არა ვცნობთ) თავი იასხლა. აქამდე მოკუნტულნი და ფერ-მკრთალნი, ახლა უცებ წამოცოცხლდნენ, წელში გაიმართენ და იმედის სხივმა ისევ გაუნათა. მათი მეოხებით სრულიად გაუფრთხილებლათ გადასწვეს შვიდი ოჯახი. საბრალოებს თითქმის აღარაფერი დარჩენიათ, რადგან უეცარი და მოულოდნელი იყო თავდასხმა. გადასწვეს მიხაილ, ისლამ და ანდრია ფაღავები; ანდრია გაბუნია, მაქაქია დიხამინჯია, ფართხუ სართანია და თედორე კუცია. როდესაც ბანძასა და მის არე-მარეში ასეთი ამბები ხდებოდა, ის ცნობილი „ვაბატონ-ჯაშუშები ხალხში „თავ-კაცობდენ“ და ცდილობდენ მთავრობის ყოველივე უპირო მოთხოვნილება ხალხს სავსებით და უსიტყვოთ დაეკმაყოფილებია. ისინი პირდებოდენ, თუ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებთ, ყველაფერი განსაცდელი აგცდებათო, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ, მორჩილების მიუხედავათ ხალხმა ბევრი მწარე დღეები გამოსცადა.

**სოფლელი გლეხი.**

—

**კახეთი.** მართალია, კახეთს განსაკუთრებული „დამსჯელი რაზმი“ არ სწვევია, მაგრამ, მიუხედავათ მისა, ჩვენი ცხოვრება ბევრით არ განირჩევა სხვა კუთხის მცხოვრებთა გასაჭირისაგან. რაღათ გინდა კაზაკი და მისი მათრახი, როცა ადგილობრივ გზარს საუნი პირი გაუღია და ჩაყლაპვას გიპირებს?! ასეთი გზარი კი თითო მამასახლისს ათი-თორმეტი დასდევს. იმათ იციან, რომ დღეს გლეხის დარბევა-აწიოკება, მისი ოჯახის გადმობრუნება არავის დანაშაულათ არ ჩაეთვლება; ის კი არა, პირიქით ჯილდოებასაც მოიპოვებს, და ძალ-ღონეს აღარ ზოგავენ. ბევრჯერ შევსწრებივარ მათ უდიერ, წრეს გადასულ საქციელს. სახლის ავეჯეულობის გარეთ გატანა, უსინდისო ლანძღვა-გინება, და ძლიერ ხშირათ ძალადობაც იშვიათი მოვლენა აღარ არის მათს მოქმედებაში. წარმოიდგინეთ ქათმების ქურდობა, ღვინისა და არაყის მოტაცება „დამამშვიდებელ“ რაზმების ოინებს მოგაგონებს. საბრალო გლეხ-კაცი მხოლოდ იმ იმედით ცხოვრობს, რომ მალე ამ უმსგავსოებას სამუდამოთ ბოლო მოეღება.

**აქაური.**

# მუშათა შორის

—

**ბათუმის ნოქრების დღევანდელი მდგომარეობა!** სამწუხაროთ, ბათუმში, ძლიერ ხანმოკლე დარჩა ოქტომბრის ბრწყინვალე გამარჯვებით მოპოვებული თავისუფლების ხანა. რეაქცია ადრე გაბატონდა და მისმა ამეთლ-დამეთლებმაც ყველაფერში თავისი ძველებური მდგომარეობა გაამეფეს.

ეს უკანასკნელი გარემოება თვალ-საჩინოთ დაეტყო ნოქართა ცხოვრებასაც.

არა მგონია ნოქრებს სადმე კიდევ გამოეჩინოთ ისეთი უმოქმედობა იმ თავისუფლების დღეებში, როგორც აქ, ბათუმში. თამამათ შეიძლება ითქვას, რომ აქაური ნოქრები მეტათ მოუმზადებელი შეხვდენ ამ დიდებულ მომენტს. ვერც ერთი გაფიცვა ხაზეინების წინააღმდეგ, სრულის გამარჯვებით ვერ დააგვირგვინეს; ან დამარცხებული გამოდიოდენ და ან ნახევრათ გამარჯვებულნი. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ვერც იმით ისარგებლეს, რაც უწინდელი გაფიცვებით მოიპოვეს. რომ ცარიელ სიტყვებათ არ დარჩეს ზემო ნათქვამი, მოვიყვან რამოდენიმე ფაქტს.

ნოქრებმა პირველი გაფიცვით მოიპოვეს სამუშაო დროს შემცირება: 1) მაღაზიები უნდა გაღებულიყო დილის შვიდი საათიდან საღამოს შვიდ საათამდე და სადილისთვის ერთ საათ ნახევარი დასვენება. ე. ი. ათ საათ ნახევარი სამუშაო დღე, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ზოგიერთი რეაქციონერი ხაზეინი მაინც თავის სურვილზე აღებდა და კეტავდა მაღაზიას. 2, ხაზეინებს, ნოქრებისათვის უნდა მიეწყოთ სამკითხველო, ეს იმედიც გაუცრუვდათ. 3) ყველა სავაჭროებში უნდა შემოეღოთ „ჯამაგირის წიგნები“, სადაც იქნებოდა აღნიშნული ჯამაგირის რაოდენობა, და აგრეთვე ყოველი თვის დამლევს ჯამაგირი უნდა მიეღოთ, მაგრამ აღებმა არც ამის შესრულება ინებეს. ერთი სიტყვით რაც რომ გაფიცვით მოიპოვეს, თითქმის ყველაფერი წაიღეს.

სამაგიეროთ ხაზეინები თავიანთი უფლებებით ჩინებულათ სარგებლობდენ და ცხოვრებაშიაც გაატარეს. მაგალ., მათ ნება ეძლეოდათ ნოქრების მიღებ-გაშვებისა. მათაც მიყვეს ხელი თავის „მოვალეობის“ ასრულებას, განსაკუთრებით რეაქციის გაბატონების შემდეგ, „გასწმინდეს“ მაღაზიები „არა სასურველი“ პირებისაგან. ასე რომ, ჩვენი შეგნებული ამხანაგები ყველამ-პურით ქუჩაში გაისროლეს.

რეაქციის გაძლიერებამ ზოგიერთ ვაჭბატონეს ფრთები შეასხა. განსაკუთრებით თავი „სახელს; ამბაკო კაკაბაძემ*) და ხალამბერ ძაძამიამ. პირველათ ამ ვაჭბატონებმა მისცეს მაგალითი ბათუმის ვაჭრებს, თუ როგორ უნდა მოქცეოდენ ისინი ნოქრების წინააღმდეგ, და უსირცხვილოთ გასთელეს ნოქრების უფლებები.

**ნოქარი.**

—

**ქუთაისი.** ამ დღეებში ქუთაისის ნოქართა ამქრის ორგანიზაციამ რუსით. ს. დ. მ. პ. გამოსცა ფურცელი, რომლითაც ის მოუწოდებს ამხანაგ მუშებს არ შეუშინდენ რეაქციის ქარიშხალს და გაუმაძღარ ალებს არ გაათელინონ თავიანთი ბრძოლით მოპოვებული უფლებანი. „ჩვენ, ნათქვამია ფურცელში, კარგათ ვიცოდით, რომ ბრძოლა ხაზეინების წინააღმდეგ, ბრძოლა ეკონომიური, მჭიდროთ იყო დაკავშირებული პოლიტიკურ ბრძოლასთან, რომელსაც არა ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით; დღეს კი ეს კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა. როდესაც ჩვენ მთელი რუსეთის მებრძოლ ხალხთან ერთათ გამარჯვებული ვიყავით პოლიტიკურათ, მაშინ ეკონომიური გამარჯვებაც ჩვენ მხარეზე იყო; ხაზეინები ძალაუნებურათ რამდენიმეთ მაინც უთმობდენ ჩვენ სამართლიან მოთხოვნილებებს; მაგრამ შეფერხდა თუ არა დროებით რევოლიუციონური მოძრაობა, გამარჯვდა თუ არა რეაქციამ, ხაზეინებიც წელში გამართენ, „ძლევამოსილ“ ალიხანოვის ფრთის ქვეშ თავი ამოაფარეს, და ყველა ჩვენ მიერ ბრძოლით მოპოვებული უფლებები უკან წაიღეს“. დასასრულ ფურცელში გამოქვეყნებულია იმ ვაჭართა სახელები და გვარები, რომლებიც მეთაურობენ ნოქრების უფლებების წინააღმდეგ გალაშქრების საქმეს. აი მათი გვარები: სტეფანე ოცხელი, ელიზბარ ზვიადაძე, ნიკიფორე ჯანელიძე, ევგენი ბარათაშვილი, გერასიმე ეკრემაძე და თედორე ბალანჩივაძე. უნდა შევნიშნოთ, რომ მიუხედავათ სამხედრო წესებისა, ზოგიერთი ხაზეინები საღამოს 8 საათამდე არ კეტდენ მაღაზიებს. ეს ქასაკვარელია მუშების უფლებების გათელვაც იყო *) და „ალიხანოვის დადგენილების გაბათილებაც“. მაგრამ ალიხანოვმა, რომელიც ყოველ მისგან გამოცემულ დადგენილების დარღვევას „ენერგიულათ“ წინააღუდგებოდა ხოლმე, ამ შემთხვევაში ყურებიც არ გაიპანტურა. მუშებმა კი, მიუხედავათ სამხედრო დიქტატურის მძვინვარებისა, გადასწყვიტეს ხაზეინების ალაგმვა და სისრულეშიაც მოიყვანეს. ფურცლების დარიგებისათანავე მაღაზიები დანიშნულ დროზე დაიხურა... როგორც ამას წინათ გწერდით ამ დღეებში შესდგა კონფერენცია ადგილობრივ მომუშავე ს. დ. ორგანიზაციებისა. ამ კონფერენციაზე სხვათა შორის ასარჩევ კანდიდატების შესახებაც იყო აძრული კითხვა. კონფერენციამ ამ კითხვის გადაჭრა ქუთაისის ხელმძღვანელ კოლექტივს მიანდო. როგორც გავიგეთ კოლექტივს ძველი დასახელებული კანდიდატების სია შეუცვლია და დაუსახელებია საგუბერნიო კრებაში ამრჩევლებათ ქუთაისიდან: ბ.ბ. 1) ივანე გომართელი, 2) ქალაქის საავათმყოფოს ხირურგი პეტრე მიხეილის ძე დონდაროვი, 3) ნაფიცი ვექილი სერგეი დავითის ძ ეჯაფარიძე და 4) ყოფილი აფიცერი ეხლა კი ნაფიც ვექილის თანაშემწე ნიკოლოზ გიორგის ძე მაჭავარიანი. როგორც ამბობენ ქალაქის არჩევნები 24 აპრილისთვისაა დანიშნული.

**დათიკო**

# იასონ ჩიჩუა

(ნეკროლოგი)

16 აპრილს ქუთაისში გარდაიცვალა სიცოცხლით სავსე, განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთი საუკეთესო მოსამსახურეთაგანი, ახალგაზდა იასონ ჩიჩუა.

იასონ ჩიჩუა დაიბადა დაბა ზუგდიდში, პირველ-დაწყებითი სწავლა ადგილობრივ სამოქალაქო სასწავლებელში მიიღო და ქუთაისის რეალურ სასწავლებელში შევიდა. 1904 წელს იასონ გამორიცხეს სასწავლებლიდან, რადგან ის მხურვალე მონაწილეობას იღებდა მოწაფეების მოძრაობაში. აქედან იწყება მისი პრაქტიკული მოღვაწეობა. მან დაუღალავლივ პროპაგანდას და აგიტაციას მიყო ხელი და პირველათ სენაკის და ზუგდიდის მაზრაში მუშაობდა. 1905 წელს, 14 თებერვალს ღამით, ქუთაისში **ქუთაისის ქუჩებზე გამოცხადებული ყაზახები და სტრაჟნიკები დათარეშობდენ.** იასონ ჩიჩუას ისე უმოწყალოთ სცემეს გამხეცებულმა ყაზახებმა, რომ მან ორი კვირა გაატარა საავათმყოფოში. როცა საკმაოთ გამომრთელდა, იგი კვლავ ენერგიულათ შეუდგა თავის საქმეს.

მალე იასონი პოლიციამ შეიპყრო და ზუგდიდის საპყრობილეში დაატიმრა. ციხის აუტანელმა პირობებმა საშინელი გა-

---

*) კაკაბაძეს ამ უმსგავსო საქციელისთვის მოქალაქეებმა „ბოიკოტი“ გამოუცხადეს, მაგრამ მისი გასწორება შეუძლებელი შეიქნა. ავტ.

*) ნოემბერში გაფიცვით ნოქრებმა აიძულეს ხაზეინები, რომ მაღაზიები დილის 8 საათზე გაეღოთ და საღამოს 6 საათზე დაეკეტათ.

ლენა იქონია იასონის სხეულ სუსტ ორგანოზე: მას გამოაჩნდა ტუბერკულოზი. მიუხედავათ ამისა ის მაინც განაგრძობდა მუშაობას ზუგდიდის სოციალდემოკრატიულ ჯგუფში. ბოლოს ის იძულებული გახდა სოხუმში წასულიყო საქმით. აპრილის პირველ რიცხვებში ჩამოიყვანეს ქუთაისში. ის იმ დროს უკიდურეს მდგომარეობაში იყო.

ის იყო აღჭურვილი ღრმა მეცნიერული განათლების უსაზღვრო სურვილით და მასთან ერთად მისი იდეალისტური ბუნება მოითხოვდა ამ მეცნიერების გადატანას ხალხში, მოითხოვდა მეცნიერების იარაღით ბრძოლას ყოველგვარი სოციალურ და პოლიტიკურ უსამართლობასთან და სწორედ ამ ბრძოლაში დალია სული ოცი წლის ჭაბუკმა.

ძვირფასო ამხანაგო! შენ კარგათ გქონდა გათვალისწინებული შენი მოქალაქობრივი მოვალეობა და ღირსეულად ასრულებდი. შენი ხსენება საუკუნოთ დარჩება ხალხისა და ჩვენს, შენი ამხანაგების, გულში!

ვლ. ემუხვარი

## რუსეთის პრესა

ახლათ გამოცხადებულმა ძირითად კანონების პროექტში პროტესტმა გამოიწვია ყველა ჟურნალ-გაზეთებისა, უკიდურეს მემარცხენედან დაწყებული 17 ოქტომბრისტების „სლოვო"-მდის. ყველაზე მკაცრათ ამ პროექტს „სლოვო" კიცხავს:

„ეს პროექტი ძირიან-ფესვიანათ უგუნურებაა, თავით-ბოლომდის მასხარათ აგდებაა, კეთილსინდისიერებისა; იგი მხოლოდ პროტესტს გამოიწვევს ყველას მხრივ, ვისაც კი შერჩენია პატიოსნება, „ჭეშმარიტ რუსებიდან" დაწყებული სოციალდემოკრატებამდის და ს.-რევოლიუციონერებამდის.

არ მოიპოვება არც ერთი დამოუკიდებელი კაცი, რომ დაკმაყოფილდეს ამ სიყალბის და ულოღიკობის შეერთებით, რომელსაც სამუდამოთ თავზე ახვევენ რუსეთს, და მერე როდის?—იმ დროს, როცა დღე-დღეზე უნდა შეიკრიბოს ახალი პატრონები რუსეთისა, იმ დროს, როცა რევვენ ხალხს აღარ შეეძლება თავისებურათ განაგოს ქვეყანა.

ამ არა-კეთილსინდისიერის და ყალბ პროექტის გამოქვეყნებით ყველასათვის ცხადი ხდება, რომ დუმა რევოლიუციისკენ მიყავთ: ზოგს თავის უვიცობით და სისულელით, ზოგს—ეგოისტურ მოსაზრებით. გული ემღვრევა კაცს, როცა ხედავს, რომ ვიღაც უვიცი, უცხო გამგებლები არეულობის ჯურღმულისკენ და ანარქიისკენ მიათრევენ ქვეყანას, იმ ქვეყანას, რომელსაც ისე ძალიან ესაჭიროება დასვენება; შეიძლება ამნაირ მოქმედებამ ნაყოფათ მოიტანოს ძმათა შორის ომი, შეიარაღებული აჯანყება, განაპირა ადგილების მოშორება, ქვეყნის დანაწილება.

„რეჩის" აზრით ახალი პროექტი იმისათვის არის გამოგონილი, რომ ქვეყანა დაიხსნას დუმის თვითნებობისაგან.

„მაგალითად, დუმამ მოისურვა ბოლო მოუღოს იმ საგანგებო ზომებს, რომლებსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ხმარობს „ბუნტ"-თან ბრძოლაში, მოისურვა განაახლოს ადმინისტრაცია და მშვიდობიანობა დაამყაროს.—ეს შეუძლებელია: „ყველა თანამდებობის პირების (გოროდოვოებისაც კი) სამსახურიდან დათხოვნა მხოლოდ უმაღლეს მმართველის ხელმწიფის საქმეა"; მისივე საქმეა ამა თუ იმ ადგილში სამხედრო წესების ან განსაკუთრებულ წესების შემოღება. ან ვთქვათ, დუმამ მოინდომა მოსპოს ყველა კანონი, რომელიც ყველა მოქალაქების თანასწორობის უფლებას არღვევს. ესეც შეუძლებელია: ამისთვის საჭიროა ახალი კანონი გამოიცეს, რომ ძველი კანონი უქმდებოდეს. ან ვთქვათ, დუმამ მოინდომა, როგორმე უშველოს ულუკმა-პუროთ დარჩენილ ხალხს. ესეც შეუძლებელია: დუმის უფლებები შემოსავალ-გასავლის საკითხებშია განსაზღვრული, და ეს განსაზღვრა ძირითად კანონებშია შეტანილი, რომ დუმას ხელ-ფეხი ქონდეს შეკრული".

„ნაშა ჟიზნ"-ს მახვილი შედარება მოყავს:

ახალი „ძირითადი კანონები", რომელზედაც იმოდენა შრომა გასწია გრ. ვიტემ და მისმა კოლეგებმა, ძალიან მოგვაგონებს მავთულის ღობეებს და მგლის ორმოებს, რომლებსაც ომის დროს მართავენ. „მტრის" იერიშის შეჩერება, თავის ფრონტის და ზურგის გამაგრება—აი რა მიზნისთვის ღვრიან ოფლს ჩვენი სტრატეგები.

სახელმწიფო დუმის გზა მგლის ორმოებითაა მოფენილი; გრ. ვიტემ ეს ორმოები თხარა, დურნოვომ შიგ ჩაურჭო კანონიერების მარგილები. მაგრამ ვაი თუ ჩვენ სტრატეგებს გადამეტებული იმედი აქვთ თავის „ციხე-სიმაგრისა"? ხომ ვიცით, რომ არ არის ისეთი სიმაგრე, რომლის აღება არ შეიძლებოდეს. და ომების გამოცდილებიდან ვიცით, რომ, თუმცა მგლის ორმოები მტრის გვამებით ივსება ხოლმე, მაგრამ ამ გვამებზე, როგორც ხიდზე, ახალი ჯარი გადივლის და ციხეს იღებს ხოლმე.

## რუსეთი

**აგრარული მოძრაობა.** მთელ სოხაჩოვის მაზრას მოედო აგრარული გაფიცვა. სოხაჩოვში მრავალი ათასი გლეხია, რომელნიც ამ მაზრის სხვა და სხვა მამულებში მუშაობენ. ვინაიდან ხნა-თესვა იწყება, მემამულეები გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. გაფიცვა მშვიდობიანათ და გაფიცულების მოქმედებას არავითარი ამბოხების ხასიათი არა აქვს.

ფოლდგარკში გლეხთა გაფიცვა დაიწყო. მემამულეებმა დელეგატები აირჩიეს გლეხებთან მოსალაპარაკებლათ. გლეხები ხნა-თესვაზე უარს ამბობენ. თუმცა მრავალი გაფიცული შეიპყრეს, მაგრამ გაფიცვა თანდათან იზრდება და ლამის მთელ მაზრას მოედოს. სუვალკის გუბერნატორმა ჯარები გაგზავნა ფოლდგარკში „აგიტატორების" შესაპყრობათ. მემამულეების უმეტესობა არ უთმობს გლეხებს.

ლოძის მაზრაში სწრაფათ იზრდება აგრარული მოძრაობა. გაფიცული მეამბოხენი მამულიდან მამულში გადადიან და მუშაობაზე ხელს აღებინებენ. ადმინისტრაციამ აქ ყაზახები გამოგზავნა.

ბელდოვში გლეხთა გაფიცვას ლუდის ქარხნის მუშებმაც დაუჭირეს მხარი.

**პოლიტიკურ პატიმართა გაფიცვა.** მოსკოვში, ტაგანის საპატიმროში ტუსაღთა საერთო გაფიცვა დაიწყო. გუბერნატორმა ციხის ინსპექტორს დაავალა, გამოიძიოს შიმშილით გაფიცვის მიზეზები და შედეგი.

**პოლიციის დარაჯების ურჩობა.** ეკატერინბურგის გუბერნიაში პოლიციის დარაჯის თანამდებობას აღარავინ კისრულობს. ერთ-ერთ მაზრაში ყველა 25 დარაჯმა დაანება თავი სამსახურს, რადგან ასეთი თანამდებობა სათაკილოთ იცნეს.

**სახელმწიფო სათათბიროს დაცვა.** სახელმწიფო სათათბიროს შენობაში განუწყვეტლივ იდგება ერთ-ერთ გვარდიის პოლკის ბატალიონი თავისი დროშით.

**ვიტეს შუამდგომლობამ არ გასჭრა.** ვიტემ შემდეგი შინაარსის ტელეგრამა გაუგზავნა სევასტოპოლის კომენდანტს: „სახელმწიფო სათათბიროს წევრათ არჩეული ალ. სიპიაგინი, რომელიც თქვენ გაასახლეთ სევასტოპოლიდან, გთხოვთ, რომ ნება დართოთ სევასტოპოლში ჩამოსვლისა. მე, ჩემის მხრით, საჭიროთ მიმაჩნია, ნება დართოთ". კომენდანტი უპასუხებს დეპეშითვე: „მე ვერ ვსცნობ შესაძლებლათ სიპიაგინის აქ ჩამოსვლას".

პრემიერ-მინისტრის აზრი ციხის უფროსმა ანგარიშში არ მიიღო.

**ინკვიზიციის მსხვერპლი.** სტუდენტი ვლ. პახომოვი, რომელიც ავათმყოფობის გამო ალექსანდროვის რაველინიდან პეტროპავლოვის ციხეში გადაიყვანეს, ჭკუიდან შეიშალა. სრულიად გიჟი პახომოვი ჟანდარმთა სამმართველოს პასუხის გებისაგან გაუთავისუფლებიათ, მაგრამ ავათმყოფი ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ ციხის ადმინისტრაცია ვერ ბედავს მის გაშვებას.

**აგრარული მოძრაობის მოლოდინში.** პოლიციის დეპარტამენტი ამ ჟამათ ადგენს იმ პირების სიებს, რომელნიც გლეხთა კავშირის წევრებათ მიაჩნიათ და ამ ჟამათ პეტერბურგში ცხოვრობენ. ამ პირთ ხელწერილი უნდა ჩამოართვან, რომ მაისში, ივნისში და ივლისში პეტერბურგიდან სოფელში არ გავიდნენ, რათა მოსალოდნელ გლეხთა საშ. მოძრაობას ხელი არ შეუწყონ აგიტაცია-პროპაგანდით.

**რუს სოციალისტთა მომავალი კრება.** მთავრობას საიდანღაც გაუგია, თითქო აპრილში რუსეთის ყველა სოციალისტები განურჩევლათ ფრაქციისა საერთო კრების მოხდენას აპირებდნენ. შინაგან საქმეთა მინისტრს ამის გამო უბრძანებია გუბერნატორებისათვის, სასტიკათ ადევნონ თვალყური და მეის შეიპყრონ ის პირები, რომელნიც ამ კრების სამზადისში იყვნენ.

## უცხოეთი

**დანიის სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიის კონგრესი.** სააღდგომოთ, დანიის ქალაქ კოპენჰაგენში მოხდა სოციალდემოკრატიულ პარტიის კონგრესი. სულ ამ კონგრესზე 225 დელეგატი და 46 ცენტრალურ კომიტეტის წევრი დაესწრო. საერთოთ 148 ადგილობრივ განყოფილებების წევრები 29,651 კაცამდე არის. კონგრესის თავმჯდომარე კნუდსენმა გააცნო იქ მყოფთ პარტიის მოქმედება უკანასკნელ კონგრესიდან სამი წლის განმავლობაში. ფოლკეტინგში უკანასკნელ არჩევნებზე სოციალდემოკრატების კანდიდატებისთვის 55 ოლქში სულ 55,479 ხმა მიეცათ, აურჩევიათ 16 დეპუტატი. სამაგალითოთ გაუმარჯვნიათ სოციალდემოკრატებს უკანასკნელ სათემო არჩევნებში, სადაც 50 ოლქიდან 155 პარტიის წარმომადგენელი აურჩევიათ. სულ უკანასკნელ არჩევნებზე 25 თემიდან სოციალდემოკრატებს 56 კანდიდატი გაუყვანიათ. კონგრესის მთავარ განსახილველ საგანს შეადგენდა იმის შესახებ მსჯელობა, თუ როგორი ტაქტიკა ეხმარათ მომავალ არჩევნებში. ზოგიერთი ორატორები სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ რადიკალებთან კავშირის, მაგრამ ხმის უმეტესობით 214 წინააღმდეგ 49 მიიღეს რეზოლიუცია, რომლის ძალითაც ისეთ ოლქებში, სადაც სოციალდემოკრატის არჩევა შეუძლებელია, ხმა უნდა მისცენ რადიკალების კანდიდატებს. მხოლოდ იმ პირობით, რომ რადიკალების კანდიდატი უსათუოთ საყოველთაო, პირდაპირ, და თანასწორი არჩევნების უფლების მომხრე უნდა იყოს, რაც კონსტიტუციის შეცვლით განხორციელებულ იქნება. სოციალდემოკრატებმა გადასწყვიტეს თავიანთი კანდიდატები 62 ოლქში წამოაყენონ.

## დეპეშები

(პეტერბ. და რუსეთის დეპეშათა სააგენტოებისაგან).

17 აპრილი.

**პეტერბურგი.** 22 იანვარს გზათა მინისტრს განკარგულება მოუხდენია, რომ ყველა კერძო თუ სახელმწიფო რკინის გზებზე განეხილათ იმ პირების შუამდგომლობა, რომელნიც დათხოვნილი იყვნენ რკინის გზის გაფიცვის დროს და უკანვე მიეღოთ ისინი. ეხლა საქმის გარჩევა დასრულდა და მოსამსახურეთა უმრავლესობა უკანვე მიიღეს.

ნაფიც ვექილ მარგოლინს სოფორონსკის უნივერსიტეტის სტუდენტისაგან წერილი მიუღია, რომლითაც ის გადაჭრით აცხადებს, რომ გაპონი ცოცხალია. წერილის ავტორი შეუძლებლათ სცნობს დღეს-დღეობით გამოაშკარავოს სად იმყოფება გაპონი, მხოლოდ პირდება ახლო მომავალში ამ ამბის შესახებ საინტერესო საბუთებს წარმოადგენთო. გაპონოვცების მუშათა ორგანიზაციის, როგორც ხმა დადის, დაუდგენია მათთვისონ ის 20,000 მანეთი, რომელიც ლიონის ბანკში ინახება.

**პეტერბურგი.** სავაჭრო-სამრეწველო გაზეთში შემდეგი მოწოდებაა დაბეჭდილი სახელმწიფო სათათბიროს წევრების გლეხებისადმი: ამხანაგებო! მართალია ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ, ერთმანეთი არ გვინახავს, მაგრამ ჩვენ გვაქ ერთი საზოგადო საქმე. საჭიროა, ჩვენი ერთათ შეკრება. ერთათ მოლაპარაკება, რომ ერთი საერთო გეგმა შევიმუშაოთ. მოგიწვევთ თქვენ შეიკრიბოთ პეტერბურგში 19 აპრილისთვის. ამ დღიდან შეგვიძლია საქმეს შევუდგეთ. ხელს აწერენ სახელმწიფო სათათბიროს წევრნი—გლეხები: სიმბირსკის გუბერნიის ალადინი, კურსკის მაჩოშნიკოვი, სტავროპოლის—ონიშკო.—სახელმწიფო საბჭოს წევრათ აირჩიეს ნოვოროსიისკის ისტორიის პროფესორი შჩეპკინი, კადეტების ადგილობრივ კომიტეტის თავმჯდომარე.

**ლიბავა.** იარაღის შემოტანის მიზით კომენდანტის სამმართველომ განკარგულება მოახდინა ყველა ღამით შემოსული გემები გააჩერონ და დარაჯებით მაიცილონ ტამოჟნის რაიონამდე.

**ვიტებსკი.** ყველა სამკერვალო სახელოსნოებში ათი საათის სამუშაო დღე შემოიღეს. დილის რვა საათიდან საღამოს შვიდ საათამდე ერთი საათის დასვენებით სადილის დროს.—ორი კვირაა, ჩუსტის მკეთებლები გაფიცულნი არიან, თხოულობენ სამუშაო ქირის მომატებას.

18 აპრილი

**ბელასტოკი.** ათმა შეიარაღებულმა კაცმა, გრაფინია რედიგერის ტყე გაჩეხა. დარაჯმა სროლა აუტეხა და ერთი დასჭრა. ბრბო გაიფანტა, დაჭრილი მუშა აღმოჩნდა.

**პეტერბურგი.** 14 აპრილს სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე განიხილეს 38 საქმე; სხვათა შორის გადასწყვიტეს, გაუქმებულ იქნას სახალინის კუნძულზე გადასახლება, სამხედრო სამსახურის ვადის შემცირების და ამ წელში 464418 ახალ სალდათების გამოწვევის შესახებ. სხდომის გათავების შემდეგ გრაფ სოლსკიმ ხელმწიფე იმპერატორს მადლობა გამოუცხადა საბჭოს კრების თავდადებულ შრომისათვის. გადასწყვიტეს, დეპეშა გაუგზავნონ ხელმწიფე იმპერატორს უქვეშევრდომილესი გრძნობის გამოსახატავათ.

**რიგა.** სახელმწიფო საბჭოს წევრათ აირჩიეს ბარონი ტიზენგაუზენი, ბალტიის კონსტ. პარტიისა.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა სამინისტრო დაჩქარებით ადგენს პოლიციის დარაჯთა რეფორმის პროექტს. ორი მოხელე გაგზავნილ იქნა საფრანგეთში და გერმანიაში სოფლის ჟანდარმერიის გასაცნობათ.—მუშათა საბჭოს დეპუტატების საქმის გამოძიება დასრულდა და სასამართლო პალატას გადასცემენ. ბრალს სდებენ 150 კაცს.—ოფიციალურათ ნება დართეს შარშანდელ გაფიცვის დროს დათხოვნილი რკინის გზის და ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები უკანვე მიიღონ. ამ დღეებში ტავრიჩესკი დვორეცში მისვლა ხალხს სრულიად აეკრძალება. სასტიკ დაცვის წესებს შემოიღებენ სასახლეში.—სამხედრო საოლქო სასამართლომ ყოფილ უნტერ-აფიცერს, მოსკოვის გვარდიისას, შჩერბაკოვს მთავრობის საწინააღმდეგო ფურცლების გავრცელებისთვის სამუდამოთ გადასახლება გადაუწყვიტა.—ნაფიცმა ვექილმა მარგოლინმა ბერლინიდან წერილი და 1300 მანათი ფული მიიღო, რომელსაც პირველ წერილში პირდებოდნენ, სადაც გაპონის სიკვდილის შესახებ სწერდნენ. მარგოლინი დარწმუნებულია, რომ გაპონი რევოლიუციონერებმა საკვდილოთ დასაჯეს. პეტერბ. ტელეგრაფის სააგენტომ ოფიციალური განცხადება მოიყვანა სახელმწიფო სათათბიროსთან, ასე რომ მხოლოდ მარტო ამ სააგენტოს ექნება უფლება გამოაქვეყნოს დუმის ბიულეტენები.

**პეტერბურგი.** ოფიციალური. სახელმწიფო საბჭომ მოიწონა გზათა მინისტრის წინადადება რკინის გზის საპენსიო კასების ცვლილებების შესახებ. ახალი წესის თანახმათ კასის წევრის სიკვდილის შემდეგ ფულები მემკვიდრეებს გარდაეცემა, ცოლის სიკვდილის შემდეგ ქმარი იღებს ფულებს. კასაში მონაწილეთაგან მიღებიდან განთავისუფლებულია ის პირნი, რომლებსაც 1906 წელს ჯამაგირები მოემატათ და უკეთუ სურვილს განაცხადებენ, სახელმწიფო სამსახურში შეიყვანენ. გზათა მინისტრმა ნება დართო ზაფხულობით სტუდენტების მიღება პრაქტიკაზე.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს წევრმა, გლეხმა ალადინმა, რომელიც გლეხთა წარმომადგენლობის შეერთების ინიციატორია, განუცხადა გაზეთის თანამშრომელს: „ეს ორგანიზაცია კადეტებზე მემარცხენეა, ის კადეტებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული იქნება, თუ კადეტების ტაქტიკა მათ ხალხთან შეაკავშირებს. გლეხების პარტიას მილიონი ხალხი ჰყავს, რომელიც დიდს იმედებს ამყარებს დუმაზე.—ერთ სტახტო გაზეთის რედაქციას რუმიანცოვზე დაბეჭდილი მუშათა სასამართლოს ხელ-მოწერილი წერილი მოუვიდა, სადაც სწერენ რომ გაპონი საკვდილათ დაისაჯა ღალატისთვისო. ადგილი არაა ნაჩვენები სად მოკლეს, ფიქრობენ ფინლიანდიაში უნდა მომხდარიყო. როგორც წერილიდან სჩანს გაპონი დანაშაულობის ჩადენის დროს დაუჭერიათ და წინააღმდეგობა გაუწევია. პირდებიან დაწვრილებით ცნობების მოწოდებას.

**რეველი.** სახელმწიფო სათათბიროს წევრებათ აირჩიეს გლეხებიდან—სასოფლო მასწავლებელი ლუბი, მოიჯარადრე—იანოვიჩი, სასამართლოს წევრი პაპჩინსკი და მოსამართლე—გელათი.

**ორენბურგი.** სახელმწიფო საბჭოს წევრათ მემამულეებმა აარჩიეს შოტტი, თავადაზნაურთა წინამძღოლი—ოქტომბრისტი.

**მოსკოვი.** დაიჭირეს ორი ქალი, რომლებსაც ყუმბარების საკეთებელი ლაბარატორია გამართათ. დაჭერის დროს ერთმა მათგანმა რევოლვერით დასჭრა ჟანდ. რმთა როტმისტრი, მეორემ ყუმბარა გადააგდო, მაგრამ არ გასქდა.

**მოსკოვი.** პრესნაზე დაიჭირეს 14 რევოლიუციონერი, რომელთაც კრება ქონდათ.—სასტუმრო „ინგლისში" დაიჭირეს რევოლიუციონერი, რომელსაც ორი ყუმბარა და რევოლვერი აღმოაჩნდა.—თავად-აზნაურთა კრებამ მიიღო მატვეევის ქალის შემოწირულ 800,000 მანეთის ქონება.—ვიტეს სამსახურიდან გამოსვლის ამბავმა ბირჟაზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. ქაღალდების ფასი დაეცა.

**ჩიტა.** დაიჭირეს პოლიცმეისტერი პროკუნინსკი და ორი ვაჭარი.

**პეტერბურგი.** ამ დღეებში გრაფ სოლსკის თავმჯდომარეობით გაიმართება თათბირი ბეჭდვითი სიტყვის დროებითი წესების შესახებ, რომელიც ეხება პერიოდულ გამოცემების, სახელმწიფო სათათბიროს სხდომებზე დასწრების და სხდომების ანგარიშის, თავმჯდომარის ცენზურის ქვეშ გატარებას. დღემდე იმდენი განცხადებები შემოვიდა სხვა და სხვა პერიოდულ გამოცემებიდან, რომ ყველა მათი განხილვა ყოვლად შეუძლებელია.

სახელმწიფო სათათბიროს შენობას 26 აპრილს აკურთხებენ.

როგორც „რეჩ"-ს გაუგია, სტეპნოი გენ.-გუბერნატორი სუხოტინი სახელმწიფო საბჭოს წევრათ დაუნიშნავთ.

**კიევი.** ტუსაღთადან 16 პოლიტიკური ტუსაღი გაანთავისუფლეს, რომელთაგან ფედოროვსკის გადასახლება გადაუწყვიტეს. ციხეში დარჩა კიდევ 228 ტუსაღი, რომლებთაგან ზოგი ტობოლსკის და ზოგიც ვოლოგდის გუბერნიებში გაიგზავნებიან.

**ვარშავა.** დღეს 18 აპრილს (1 მაისი) ქალაქი მთლათ გაფიცულია. ფაბრიკა-ქარხნები არ მუშაობს, სავაჭროები, რესტორანები, ფურნები და სკოლების უმრავლესობაც დაკეტილია. კონკაც არ მუშაობს. მეეტლებიც გაფიცულია. გაზეთები არ გამოსულა.

**ბელოსტოკი.** ფაბრიკა-ქარხნები და სავაჭროები დაკეტილია.

**ბრესტ-ლიტოვსკი.** ქალაქში გაფიცვაა.

**კოვნო.** ქალაქში და ახლო-მახლო ადგილებში გაფიცვაა.

**ვარშავა.** სოფ. ვოლიაში რევოლვერით დასჭრეს ორი დარაჯი. დაიჭირეს სამი კაცი.

ბოქაულის თანაშემწე გოლიოვს რევოლვერი ესროლეს. მსროლელი დაიჭირეს.

**ვილნო.** ნოქრების უმრავლესობა, სტამბა და ზოგიერთი სახელოსნოები გაიფიცა.

**ყაზანი.** მღვდელი რუფამსკი პასუხისგებაში მისცეს სადღესო კითხვებზე ქადაგების წარმოთქმისთვის.

**ტომსკი.** საქონლის მატარებლების წესიერი მიმოსვლა აღმოსავლეთისაკენ 20 აპრილს დაიწყება.

**დონის როსტოვი.** მომრიგებელი მოსამართლე სკუბა და საფაბრიკო ინსპექტორი სმელოვსკი, რომლებმაც ამნისტიაზე და სიკვდილის დასჯით გაუქმებაზე ხელი მოაწერეს თანამდებობიდან გადააყენეს.

**მინსკი.** ზოგიერთი ნოქრები და მესტამბეები გაიფიცნენ.

**ბელოსტოკი.** დაბა სუპრასლში ბრბომ გაძარცვა მაღაზია და საქონელი მონასტრიდან მოპარულ ცხენით გაზიდეს. მძარცველები სროლით გაუდგნენ გზას და მიიმალნენ.

**მოსკოვი.** ანარქისტების ბინა აღმოაჩინეს. ზოგიერთებს ყუმბარები აღმოაჩნდა. სუშევში, გაჩხრეკის დროს ერთმა ქალიშვილმა რევოლვერი ესროლა ჟანდარმის აფიცერს მარტინოვს და დასჭრა.

**პარიჟი.** სანდოდ წყაროებიდან გაუგიათ, რომ, ის დელეგატები, რომელიც ფედერატთან იყო და რუსეთის სესხის წინააღმდეგ აგიტაცია გასწია, გრაფ ნესელროდე, ნაფიცი ვექილი მაკლაკოვი და თავადი დოლგორუკოვი იყვნენ.

**პარიჟი.** სტამბის მუშებს მანიფესტაციის გამართვა უნდოდათ რვა საათის სამუშაო დღის შემოღებისათვის, მაგრამ პოლიციამ გაფანტა. ბევრი დაიჭირეს. გაფიცულები მანიფესტაციებს ახდენენ. ქალაქის ნაწილებს ჯარი იცავს.

**ბერლინი.** გრაფ ვიტეს სამსახურიდან გადადგომის ამბავმა ბირჟაზე დიდი გავლენა მოახდინა.

**ბერლინი.** კომერსანტების და მრეწველთა კავშირმა გადაწყვიტა მიმართოს შინაგან საქმეთა მინისტრს რუსების გაძევების შესახებ. განცხადებაში ამბობენ, რომ რუსების წინააღმდეგ მიღებულ სასტიკ ზომებს ცუდი გავლენა აქვს გერმანიის ვაჭრობა მრეწველობაზე.

რედაქტორ-გამომცემელი კ. თავართქილაძე.

## განცხადება

კბილის ექიმი
ქ-ნი ე. თ:
**ლორის-მელიქოვი**
ღებულობს ბინით ავათმყოფებს, რკინის გზის მუშებს, მოსამსახურეებს და მათ ოჯახის წევრებს, იმ დაკლებულ ფასებში, რაც დამტკიცებულია რკინის გზათა უფროსის მიერ.
ავათმყოფნი მიიღებიან: დილის 8—10 ს. რკინის გზის საავათმყოფოს ძველ შენობაში.

**მიიღება ხელის მოწერა**
სომხურ პოლიტიკურ, საზოგადო და საეკონომიო ახალ გაზეთზე
**„კაიწ"** (ნაპერწკალი),
რომელიც ჯერ-ჯერობით **გამოვა კვირაში ორჯელ**
სოლოლაკის ქუჩა, № 3

**ავჭალის ქუჩაზე**, კუზმინოვის სახლი, № 14.
**იყიდება სამიკიტნო**
თავისი ნომრებითა და მოწყობილობით.
**სარქის ხაჩატუროვი**

საყმაწვილო ჟურნალი
**ნაკადული**
**სურათებით.**
წელიწადი მეორე. წელიწადი ითვლება პირველ იანვრიდან იანვრამდე.
**ხელის მოწერა მიიღება** რედაქციაში, წ.-კ. გ. საზოგადოების კანცელარიაში და მარიამ დემურიას ბინაზე—ალექსანდრის ქუჩა, № 5.
რედაქცია იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში, № 8.
დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.
ჟურნალის ფასი: ერთათ ორივე გამოცემა 3 მან., ცალ-ცალკე—სამ-სამი მანეთი. ნახევარი წლით: ერთათ—2 მან. 50 კაპ., ცალ-ცალკე 1 მან. 50 კაპ., თვეში კ., ცალ-ცალკე ნომერი მეორე წლის ნათვის—15 კაპ., მოწაფეთათვის 25 კ. წლიურ ხელის-მომწერთ შეუძლიათ თვეში თითო მანათი შემოიტანონ.
შარშანდელი მთელი წლის ნომრები იყიდება სამ მანათად.
პირობებზე მოსალაპარაკებლათ რედაქცია ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.
ფოსტის ადრესი: თფილისი ჟურნალ „ნაკადული"-ს რედაქცია.
რედაქტორი მარიამ ივანეს ასული დემურია. გამომცემელი თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.

თფილისი, ელისაბედის ქუჩა, ესწრაფელ-მბეჭდავი „ლამპარი", № 17.